



ახალი ტანათლექს

2013 წელი, 24 - 30 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№31 (625) გაგონის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



განსორციელებული ცვლილებები და მიმდინარე ტენდენციები

ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე დოქტორანტურის დაფინანსების პროექტია. სახელმწიფო ასი წარმატებული დოქტორანტის სწავლას დააფინანსებს. ამისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა გამოყოფილი, ერთი დოქტორანტის დაფინანსება 21 ათასი ლარი ჯდება.

გვერდი 2



ინტერვიუში, რომელიც გაზაფხულზე ჩვენთან განათლების მინისტრის მოადგილესთან, ქეთევან ნატრიაშვილთან საუბარი იყო იმ ხედვების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო შეიმუშავა პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მიზნით. შვიდი თვის შემდეგ ჩვენი გაზეთი კვლავ დინტერესდა ამ საკითხით და შეეცადა გაერკვია, რამდენად დინამიურია პროცესი და რამდენად ხელშეწყობილი უკვე მიღებული შედეგები.

გვერდი 3



დღობით შექმნილი უსაფრთხო გარემო

გვერდი 4



მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საბუნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS)

გვერდი 8

დვიანისა და ტახტიძირის საჯარო სკოლებში სტუმრობა



გვერდი 9

ბრიფინგი

ა ი ო დ

ლალი ჯვალაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიციძემ, პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, ყურნალისტებთან შეხვედრა გამართა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა შეაჯამა. მასმედიის წარმომადგენლებს ის პროექტები გააცნო, რომელთაც საფუძველი ხელისუფლების ცვლილებისთანავე ჩაეყარა – უფასო სახელმძღვანელოები, სასკოლო ტრანსპორტი, უფასო ფაკულტეტები, უფასო პროფესიული განათლება, სკოლის პედაგოგთა, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის გაზრდილი ხელფასები და სხვ. ეს გეგმები მარგველაძის მიხედვით პერიოდში განხორციელებული ძირითადი ცვლილებებია, რომლებმაც განათლება ყველასათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა.

თამარ სანიციძემ ყურნალისტებს ის ცვლილებებიც გააცნო, რომლებიც უშუალოდ მისი მინისტრობის პერიოდს უკავშირდება. განსაკუთრებით გამოყო ინკლუზიური განათლების მიმართულება, რომელიც, მიხედვით განცხადებით, დღეს სამინისტროსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ინკლუზიური განათლების ფარგლებში შემუშავდა გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც 2013-2016 წლების სამოქმედო გეგმას მოიცავს. მის ფარგლებში, თბილისის ორ საჯარო სკოლაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების – სმენადაქვეითებულ და აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის ინტეგრირებული კლასები გაიხსნა. „ძალიან მნიშვნელოვანია, განსხვავებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაცია საზოგადოებაში და მათი საშუალება უნდა მიეცეთ თანატოლებთან ერთად მიიღონ განათლება“ – განაცხადა მინისტრმა.

წელს, სწორედ ამ მიზნით, 50

წლის შემდეგ პირველად, სამინისტრომ უსინათლო და სუსტადმხედველი მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი ბრაილის შრიფტით დაბეჭდა; გარდა ამისა, ოქტომბრიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფილია სპეციალური მასწავლებლით ან ფსიქოლოგით. მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო და, 2014 წლიდან, ილიას უნივერსიტეტში დაიწყებს ფუნქციონირებას.

მზადდება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ორი გზამკვლევი; მიმდინარეობს მუშაობა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის“ სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ეროვნული მოდელის შექმნაზე. პროგრამა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილ ბავშვებს (სოციალურად დაუცველი, ქუჩაში მცხოვრები თუ მომუშავე) საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირების საშუალებას მისცემს.

პროფესიულ განათლებაშიც დაიწყო ინკლუზიური ელემენტების შეტანა. წელს, პროფესიულ სასწავლებლებში, 51 სტუდენტი ჩაირიცხა, მათ სპეციალური მასწავლებელი მოემსახურება.

დასრულდა სკოლების ინტერნეტიზაციის პროგრამა. „დღესათვის, ყველა სკოლაში გვაქვს ინტერნეტი, რაც ეფექტური კომუნიკაციის საშუალებას ნიშნავს. ეს პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ხაზთან მდებარე სოფლებისა და იქ არსებული სკოლებისათვის, რადგანაც ოკუპირებულ ხაზს იქით ანტენებს, ინტერნეტსა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების სიხშირეს ახშობდა. აქედან გამომდინარე, პროექტი კონკრეტულ სოფლებში კიდევ უფრო გააძლიერეთ – დაემატა აქტიური მონაწილეობის მოტივი და შიდა ქსელის ტელეფონები, რაც სკოლებს რესურსცენტრებთან და უშუალოდ სამინისტროსთან

სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციის საშუალებას აძლევს.“ – აღნიშნა მინისტრმა.

შეიქმნა ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარის სტანდარტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკარები ახალი სტანდარტის მიხედვით გადამზადდებიან, ხოლო ბიბლიოთეკის სტანდარტის დასრულებისთანავე, საჯაროდ 2014 წლიდან, ბიბლიოთეკებში გადაიხედება საგანმანათლებლო რესურსები. აღდგენილი და უფრო მრავალფეროვანი რესურსი და გადამზადებული ბიბლიოთეკარი სკოლებში ხარისხიანი სწავლების ერთგვარ გარანტიად იქცევა.

გაიზარდა საჯარო სკოლების დაფინანსება როგორც გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული საჭიროებების, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობისა და სკოლის განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტების მიხედვით.

პედაგოგების სასარგებლოდ შეიცვალა სერტიფიცირების დანამატის გაცემის წესი, რაც გულისხმობს სერტიფიცირების დანამატის გაცემას ჩატარებული საგანმანათლებლო საათების პროპორციულად; განხორციელდა 600-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია, 80-ზე მეტი სკოლის გაზოგადების საგანმანათლებლო დაფინანსების საფუძველზე მოწყობა. პროცესი გრძელდება, 2013 წლის ნოემბერში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ცხრა ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყო; 2013 წლის აპრილიდან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი გაიხსნა; IX და XII კლასების მოსწავლეებისათვის შემუშავდა „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსი“.

თამარ სანიციძემ: „სკოლების განვითარებისათვის, განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონების, ვაუჩერული დაფინანსების სისტემა შეიქმნა. კოეფიციენტების საშუალებით, სკოლებს მოემატათ დაფინანსება, რაც მათ საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯების გარდა (ეს განსაკუთრებით პრობლემატურია მაღალმთიანი სოფლების სკოლებისთვის), ფინანსური რესურსის საკმარისი განვითარებისათვის გადაწერის საშუალებას მისცემს.“

რაც შეეხება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, იმ რეფორმებმა, რომლებიც განათლების სექტორში წლების განმავლობაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სერტიფიცირების მიმართულებით ჩატარდა, მინისტრის განცხადებით, დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. სწორედ ამიტომ, სამინისტრომ დაიწყო მუშაობა მასწავლებელთა განვითარების ახლებურ მიდგომაზე და კომპლექსურ სექსმაზე. „მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები არც წინა წლებში იყო განსაკუთრებით სახარბიელო. ეს ინდიკატორი უნდა გამხდარიყო წინა ხელისუფლებისათვის, რომ არსებული ვითარების გამოსასწორებლად დროულად გადაიდგათ ნაბიჯები. თუმცა, დაგვიანებული არც ახლანა. პირველ რიგში, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები. მოგეხსენებათ, რომ 2015 წელს ყველა პედაგოგი სერტიფიცირებული უნდა ყოფილიყო, რაც გამოირიცხებოდა, რადგან დღევანდელი მონაცემებით პედაგოგთა მხოლოდ 20%-ია სერტიფიცირებული. ეს პედაგოგთა კადრების სერიოზულ დეფიციტს შექმნიდა.

პრობლემაზე საუბარს, ალბათ, სჯობს იმაზე ვისაუბრო, თუ როგორ ვაპირებთ პრობლემის მოგვარებას. პირველ რიგში, ყველა პედაგოგი უნ-

და ჩაერთოს სექსმაში, რომელსაც მათ ვთავაზობთ და არა მხოლოდ სერტიფიცირებული, როგორც აქამდე იყო. რეალურად მასწავლებლების დიდი კონტინგენტი უყურადღებოდ იყო დატოვებული და მთელი აქცენტი სერტიფიცირებულ პედაგოგებზე და მათ განვითარებაზე იყო გადატანილი. სექსმა ორ ნაწილად იყოფა – კარიერული განვითარება და წინსვლა, გაიმიჯნება კატეგორიები. პირველ რიგში, კარგად უნდა განიმარტოს პროფესიაში შესვლის ნაწილი. შემდეგ მოდის კარიერული განვითარება და წინსვლა, რაც ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლაზე დამოკიდებულია. დღესდღეობით ოთხი ინტენციური კატეგორია განიხილება. უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი იმდენად კვალიფიციური იქნება, რომ მენტორის ფუნქციას შეთავაზებს და დამწყებ პედაგოგს მოამზადებს.

რაც შეეხება მასწავლებლის ცოდნისა და უნარების შეფასების ინსტრუმენტებს, მხოლოდ ტესტით შეფასება მიუღებელი და არაადეკვატურია, რაც მთავარია, არაფრის მომცემი. დღეს ტესტი რეალურად ამონებებს გარკვეული კომპეტენციას, მაგრამ ის მნიშვნელოვანი ნაწილი – პრაქტიკული ნაწილი, რომელიც გადამწყვეტია პედაგოგის საქმიანობაში, შეუმოწმებელი რჩება. სწორედ ამიტომ დაგეგმეთ კომპლექსური მიდგომა. შემუშავდა მოდელის პროექტი, რომელიც ალტერნატიულ ზეგებს სთავაზობს მასწავლებლებს, მათ არა მხოლოდ კომპეტენციების ტესტით შემოწმების, არამედ შეფასების და განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები ექნებათ (ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა ვარდამავალი ეტაპის სტრუქტურირებაზე, რომ ყველა მასწავლებელს შეეძლოს ახალ სექსმაში შესვლისა შეინარჩუნოს ძველი სექსმა ფარგლებში დაგროვილი კრედიტები და სერტიფიცირების შედეგები).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა, თავითავად, სახელფასო ზრდასთან იქნება მიბმული და მათ საშუალება ექნებათ, სახელმწიფოსგან მიიღონ დახმარება იმისთვის, რომ გარანტირებული ჰქონდეთ კარიერული წინსვლა და არაფრის კეთილ ნებაზე არ იყოს დამოკიდებული მათი ხელფასების ზრდა.“

ბრიფინგზე დიდი დრო დაეთმო პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროექტებს. „როდესაც 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში მოვედით, ევროკავშირთან მიმართებაში ძალიან ბევრი შეუსრულებელი ვალდებულება დავგვხვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მილიონ ევროზე მეტი დააკლდებოდა. მოვითხოვეთ დამატებითი პერიოდი და მისი სიმცირის მიუხედავად, ყველა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და ვალდებულებებიც შევასრულეთ. წელს ამ თანხის მიღებას საფრთხე აღარ ემუქრება. ამასთანავე პროფესიული განათლების შრომის ბაზართან დაახლოებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს წინა ხელისუფლებისათვის, რომ არსებული ვითარების გამოსასწორებლად დროულად გადაიდგათ ნაბიჯები. თუმცა, დაგვიანებული არც ახლანა. პირველ რიგში, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები. მოგეხსენებათ, რომ 2015 წელს ყველა პედაგოგი სერტიფიცირებული უნდა ყოფილიყო, რაც გამოირიცხებოდა, რადგან დღევანდელი მონაცემებით პედაგოგთა მხოლოდ 20%-ია სერტიფიცირებული. ეს პედაგოგთა კადრების სერიოზულ დეფიციტს შექმნიდა.

პრობლემაზე საუბარს, ალბათ, სჯობს იმაზე ვისაუბრო, თუ როგორ ვაპირებთ პრობლემის მოგვარებას. პირველ რიგში, ყველა პედაგოგი უნ-

და ჩაერთოს სექსმაში, რომელსაც მათ ვთავაზობთ და არა მხოლოდ სერტიფიცირებული, როგორც აქამდე იყო. რეალურად მასწავლებლების დიდი კონტინგენტი უყურადღებოდ იყო დატოვებული და მთელი აქცენტი სერტიფიცირებულ პედაგოგებზე და მათ განვითარებაზე იყო გადატანილი. სექსმა ორ ნაწილად იყოფა – კარიერული განვითარება და წინსვლა, გაიმიჯნება კატეგორიები. პირველ რიგში, კარგად უნდა განიმარტოს პროფესიაში შესვლის ნაწილი. შემდეგ მოდის კარიერული განვითარება და წინსვლა, რაც ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლაზე დამოკიდებულია. დღესდღეობით ოთხი ინტენციური კატეგორია განიხილება. უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი იმდენად კვალიფიციური იქნება, რომ მენტორის ფუნქციას შეთავაზებს და დამწყებ პედაგოგს მოამზადებს.

ქ ქ

შემუშავდა პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვისა და დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი წესი; დაიწყო ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა. წელს პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდა მსხვერდელიებისთვის და პროფესიონალებისთვის – 350 ბენეფიციარი გადამზადდება და მიიღებს პროფესიულ განათლებას. დაგეგმილი გვაქვს ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა და მათთვის მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზება. მომავალი წლისათვის დაგეგმილია სასწავლო შენობებისა და სახელოსნოების რეაბილიტაციის პროექტები საქართველოს რეგიონებში მდებარე 4 კოლეჯში.“

თამარ სანიციძემ იმ შემორანდუმზეც ისაუბრა, რომელიც, განათლების სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის „სოკარ“-აზერბაიჯანის შორის გაფორმდა. „მეტად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების განათლების საქმეში, სახელმწიფოსთან ერთად, კერძო სექტორიც აქტიურად ჩაერთოს. ჩვენ შორის გაფორმებული მეგობრული ახალგაზრდების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს, გაიღრმავონ ცოდნა და გახდნენ პროფესიონალები.“ პროექტი, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპანის ფარგლებში, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო“ ახორციელებს. ჩატარებული კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება საქართველოში ამერიკული პარტნიორი უნივერსიტეტების საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებების პროგრამების შერჩევისთვის.

უმაღლესი განათლებაში განხორციელებული ცვლილებები მინისტრმა ასე შეაფასა: „წელს სოციალურ პროგრამებში სერიოზული ცვლილებებია, გაორმაგდა არსებული ბიუჯეტი – ორჯერ მეტი რაოდენობის სტუდენტი ისარგებლებს სახელმწიფო დაფინანსებით. ასევე, წელს პირველად, გადავანაწილეთ სოციალური ფონდი და 2011-12 წლებში ჩარიცხულ სტუდენტებს ამ ფონდით სარგებლობის შესაძლებლობა მივეცით. სოციალური პროგრამები მაგისტრებისთვისაც გვაქვს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე დოქტორანტურის დაფინანსების პროექტია. სახელმწიფო ასი წარმატებული დოქტორანტის სწავლას დააფინანსებს. ამისთვის საკმარის სოლიდური თანხა გამოყოფილია, ერთი დოქტორანტის დაფინანსება 21 ათასი ლარი ჯდება. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უკვე გამოცხადდა, კრიტერიუმები განსაზღვრულია.“

მინისტრმა სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიების გაორმაგებაზე, ზაფხულისა და ზამთრის სკოლების ამოქმედებაზე, პროგრამა „ცოდნის კარის“ გაზრდილი ბიუჯეტსა და სახეცვლილებებზე ისაუბრა.

უმაღლესი განათლების მიმართულებით, სერიოზული კომპონენტი მიღწევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, რაც გულისხმობს: ზუსტად, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროგრამების გაუმჯობესებას; სტუდენტებისთვის უცხოური უნივერსიტეტების ახალი ხარისხიანი პროგრამების შეთავაზებას. „ეს იქნება საინჟინრო იმისა, რომ სხვა დანარჩენი პროგრამებიც იმ სტანდარტთან შესაბამისობაში მოვიდეს, რომელიც ხარისხიანი განათლებას უზრუნველყოფს“ – აღნიშნა თამარ სანიციძემ.



პროფესიული განათლება

ქველი ნაბიჯები მომავალში გაგრძელდება



გვესაუბრება ქეთევან ნატრიანაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე

რა სახის ცვლილებები განხორციელდა კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ და შემუშავდა თუ არა პროფესიული სტანდარტები, რამაც უნდა უზრუნველყოს სისტემის გამართული მუშაობა (პროფესიული განათლების შრომის ბაზართან დაკავშირება, საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობის ზრდა, საგანმანათლებლო „ჩიხების“ აღმოფხვრა და ა.შ.)?

მიმდინარე წელი ერთგვარი გარდამავალი წელია პროფესიული განათლების სფეროსთვის. მიმდინარეობს მზადება სისტემური ცვლილებებისათვის, რაც კოლეჯების მხრიდან ადამიანური რესურსის მაქსიმალურად მობილიზებას და პროცესში ჩართვას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, იმ კოლეჯებს, რომლებსაც ვალდებულაა ჰქონდეთ ავტორიზაცია წელს გაეცლიათ, მათი თხოვნის საფუძველზე, ამ ვალდებულების შესრულება საკანონმდებლო ცვლილებებით ერთი წლით გადაუვადდეთ. შესაბამისად, როგორც საჯარო, ისე კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა მიეცათ, კარგად გაეკონტროვებინათ ცვლილებებში და მომავალი ერთი წლის განმავლობაში მოემზადონ ავტორიზაციის პროცესისათვის.

მიმდინარე წლის ერთ-ერთი მთავარი საკანონმდებლო ცვლილება იყო პროფესიული განათლების მესამე საფეხურიდან მეოთხე საფეხურზე გადასასვლელად დაწესებული ბარიერის (ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტი) გაუქმება. ამ ბარიერის მოხსნა აუცილებელი იყო სისტემის შემდგომი განვითარებისა და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. შედეგად, შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი წესი, რომლის მიზანია კოლეჯებში სტუდენტთა მიღების გამჭვირვალე მექანიზმის ფორმირება. ბუნებრივია, სამინისტრო აგრძელებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის დახვეწას შემუშავებას და გეგმავს უფრო მასშტაბური ცვლილებების განხორციელებას, რამაც სამართლებრივი საფუძველი უნდა შექმნას მასშტაბური რეფორმის განხორციელებისათვის.

რაც შეეხება ახალ სტანდარტებს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარ-

გლებში, დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით, განახლდა აგრარული, სამშენებლო, ტრანსპორტის, დიზაინის და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგების 17 პროფესიული სტანდარტი. სტანდარტების განახლებაზე მუშაობა მიმდინარეობდა ევროპაში კარგად აპრობირებული ე.წ. DACUM-ის მეთოდოლოგიით, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნების სრულად ჰარმონიზებას საგანმანათლებლო პროცესებთან. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სწორედ ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით აპირებს ყველა მოქმედი პროფესიული სტანდარტის გადაამუშავებას.

რას გულისხმობს დაფინანსების ახალი სისტემა, მისი უპირატესობა ვაუნერულთან შედარებით. ორიოდ სიტყვა უფასო სწავლებასთან დაკავშირებითაც გვითხარით.

2012 წლის გაზაფხულზე, პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის დასაფინანსებლად მონოვალენტური (1000-ლარიანი) დაფინანსების მოდელის ამოქმედებამ სულ რამდენიმე თვეში კრიზისული მდგომარეობა შეუქმნა სახელმწიფო კოლეჯებს. 1000-ლარიანი ვაუნერი არ იყო დაფუძნებული პროგრამის რეალურ ღირებულებაზე და, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი ან ორი საფეხურის დაფინანსების საშუალებას იძლეოდა. შესაბამისად, სტუდენტი იძულებული იყო მესამე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად თანხა თავად გადაეხადა. 2012 წელს ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილი პირების მხოლოდ, დაახლოებით, ექვსმა პროცენტმა შეძლო სწავლის თვითდაფინანსებით გაგრძელება.

ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი წესი, რომელშიც დიფერენცირებულია პროფესიული სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები – პროფესიული განათლების ვაუნერი მოიცავს სასწავლო მასალებისა და პედაგოგის ანაზღაურების ხარჯებს, ხოლო პროგრამული დაფინანსების მექანიზმით დაიფარება დაწესებულების ადმინისტრაციული ხარჯები. შემოთავაზებული მიდგომა გვიჩვენებს, რა დანახარჯებთანაა დაკავშირებული თითოეული პროგრამის განხორციელება, ხელს უწყობს სასწავლებლებს შორის კონკურენტული არსებობას, ერთმანეთისგან მიჯნავს დაწესებულების ადმინისტრაციულ დანახარჯებს და უშუალოდ სასწავლო პროცესისათვის საჭირო ფინანსურ რესურსს, მეტად მოქნილია და პროფესიული სასწავლებლების პოტენციალის შენარჩუნებისა და მათი შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა.

მიმდინარე ეტაპზე, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფო დაფინანსება გავრცელდება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. სამომავლოდ, მოდულურ მიდგომაზე გადასვლასთან ერთად, საჭირო იქნება დაფინანსების არსებული წესისა და განფასებების გადახედვა, შესაბამისად, გარდამავალი პერიოდის შემდგომ დაფინანსების მოდელის ცვლილება გამორიცხული არ არის.

რომელ სასწავლებლებში და რა მეთოდოლოგიით განხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული პროგრამებზე სწავლება და ვინ ასწავლის მათ?

პროფესიულ სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების დანერგვა სისტემურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. პირველ ეტაპზე შერჩეულ იქნა 6 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც, პროფესიული ტესტირების საფუძველზე, უკვე ჩაირიცხა 51 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი. აღსანიშნავია, რომ სწავლების პროცესი ინდივიდუალური შესაძლებლობებზე იქნება კონცენტრირებული. პროფესიის დაუფლებისთვის მათ ყველა საჭირო პირობა შეექმნება, რათა სამომავლოდ შეძლონ დასაქმება. სწავლების პროცესში ჩართული იქნება 2 სპეციალისტი, მაგალითად სმენადაქვეითებულთათვის იმუშავებს უესტური ენის თარჯიმანი, ხოლო ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირისთვის – ასისტენტი, რომელიც მას გადაადგილებაში დაეხმარება.

დაიწყო თუ არა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელება?

ევროკავშირთან თანამშრომლობა, პროფესიული განათლებისა და დასაქმების კუთხით, ახალი პროგრამის ფარგლებში ვითარდება. ქვეყანა, რამდენიმე წლის განმავლობაში, ამ თანამშრომლობის შედეგად მიიღებს, დაახლოებით, 27 მლნ ევრომდე, საბიუჯეტო დახმარების სახით. დაგეგმილია ტექნიკური დახმარებისა და ე.წ. თვინვების კომპონენტებიც. პროექტის განხორციელება მომავალი წლიდან დაიწყება. ამჟამად ხელშეკრულების მოსამზადებელი სამუშაოები ხორციელდება.

ნარმატებით მიმდინარეობს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტიც, რომელიც გასული წლის ოქტომბერში დაიწყო და უკვე დასრულებს ფაზას. პროგრამა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: 1. პოლიტიკის ფორმირება და 2. პროფესიულ განათლებაში ჩართული მხარეების შესაძლებლობების განვითარება.

პროექტის ფარგლებში, შემუშავდა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია (2013-2020) და სამოქმედო გეგმა 2013-2017 წლებისთვის; კომპანიებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა პროფესიული განათლების სფეროში პრაქტიკული სწავლების განხორციელების მოდელი. დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით განახლდა 17 პროფესიული სტანდარტი. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების მოდულურ სისტემაზე გადაყვანის მიზნით, მომზადდა პოლიტიკის განმსაზღვრელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტები, შემუშავდა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ნიმუში; ამავე პროგრამისათვის მომზადდა შეფასების ინსტრუმენტებისა და მასწავლებლისა და მოსწავლის გზამკვლელების ნიმუშები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესატყვისობის დონის დადგენისა და მათი შემდგომი ჰარმონიზაციის მიზნით, შემუშავდა კურს-დამთავრებულთა გამოკითხვის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის კოლეჯებში დანერგვა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიის შესაბამისად დასაქმებას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა პროფესიულ განათლებაში თვით-შეფასებისა და გარე შეფასების სახელმძღვანელოები. თითოეულ მიმართულებაზე მუშაობა მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფების

ფორმატში, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების თანამონაწილეობით, რაც შესაძლებელს ხდიდა წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების ადგილობრივ კონტექსტთან ისე მორგებას, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ადგილობრივი შესაძლებლობები, გამოწვევები და მოთხოვნები. ასევე, თითოეულ მიმართულებაში შემუშავდა ტრენინგ მოდულები და გადამზადდა 1000-ზე მეტი ბენეფიციარი როგორც საჯარო და კერძო კოლეჯებიდან, ისე სახელმწიფო სტრუქტურებიდან და დამსაქმებელთა ორგანიზაციებიდან.

ხომ არ შექმნილა ერთიანი საინფორმაციო ბაზა რეგიონების მიხედვით, რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლოა დადგინდეს რა რაოდენობის და პროფესიის კვალიფიციური კადრების მომზადება იქნება საჭირო ახლო ან შორეულ პერსპექტივაში?

ბაზრის კვლევის სისტემური მექანიზმები ამ დრომდე ქვეყანაში არ არსებობდა. თუმცა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შრომისა და დასაქმების სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავდა „შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის განხორციელების პროცესში, კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად იქნება ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ვინაიდან პროფესიული განათლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის ფლობა. აღსანიშნავია, რომ დაიხვეწა და ამუშავდა პროფესიული განათლების მონიტორინგის ბაზაც, რომელიც ღირებულ სტატისტიკურ ინფორმაციას მოგვანოდებს ქვეყანაში არსებული სასწავლებლების, პროგრამების, სტუდენტებისა და სხვა ფაქტორების შესახებ, რისი ანალიზიც საჭიროა სფეროს განვითარებისთვის.

2010 წელს გაუქმებული 13 პროფესიული სასწავლებლის ბაზაზე იგეგმებოდა ახალი სასწავლებლების დაარსება. ხომ არ არის მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება რომელიმე სასწავლებელთან მიმართებაში?

აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული რეალობისა და საჭიროებების გათვალისწინებით ჩვენ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საკითხებზე ვმუშაობთ. სამინისტროში შექმნილია სპეციალურმა კომისიამ, მთელი წლის განმავლობაში, ნაყოფიერად იმუშავა. უკვე არსებობს კონკრეტული რეკომენდაციები და მსოფლიო ბანკის დახმარებით შემუშავებული სასწავლებლების განვითარების სამოქმედო გეგმები. საუბარია ახალი, თანამედროვე ტიპის პროფესიული სასწავლებლების განვითარებაზე, რომელიც სტანდარტების შესაბამისად, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან პროფესიონალებს მოამზადებს. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, ტერიტორიული ხელმისაწვდომობის ზრდა, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები უახლოეს მომავალში გადაიდგმება.

ესაუბრა ანა ფირცხალაიშვილი

აი ემ თი – ხელოვნების სახლი

„რატომ ემ თი ხელოვნების სახლი? – დიდი ხანია დრამზე დაკვრას ვოცნებობდი. მეგონა, რომ ეს ჩემი სურვილი ნატურად დარჩებოდა. ერთ დღეს კი, ისეთ გარემოში აღმოვჩნდი, სადაც ჩემი ყველა ჩანაფიქრის, იდეების და სურვილების განხორციელებას შეეძლება და ეს ყველაფერი ჩვენს ხელოვნების სახლში.“
ლევენი, 15 წლის

სწორედ ამ ილით შეიქმნა ხელოვნების სახლი. ამ ერთ ჭარბვემ ბაბრთინადა ხელოვნების სხვადასხვა დარგი, რათა ბავშვებმა და მოზარდებმა სხვადასხვა სფეროში მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობები. ხელოვნების სახლი განკუთვნილია 3-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. ჩვენთან ისწავლება

ბა ვიკალი, ძარბული და თანამედროვე ძორამოგრაფია, მსახიობის ოსტატობა, მატყველება, მუსიკალური ინსტრუმენტები, სხვებით და გამოყენებით ხელოვნება, ფოტოგრაფია, დიდი ყურადღება ეთმობა ადაპტირებულ სატრენინგო პროგრამებს მოზარდთათვის.

ჩვენ ვიტყვით შავბრძანა იმპროვიზირებული, თბილი, მყუდრო და უსაფრთხო გარემო და, რა თქმა უნდა, შვებრჩივთ თანამედროვე, პროფესიონალი აქტორების გუნდი, რომლებიც ჯგუფური და, ამავედროულად, ინდივიდუალური მიდგომით, თითოეული ბავშვის შინაგან პოტენციალს სწორ მიმართულებას მისცემს და პირველ რიგში, მათი იმპროვიზირებული



გახდინი ჩვენი სახლის ბინადარი

ჩვენი მისამართი – შალვაშვილის №63 დაგვიკავშირდით: 2 227 327

აქტუალური თემა

ნდობით შექმნილი უსაფრთხო გარემო

2010 წლის აპრილიდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, მანდატური თვითნებური შვიდ საპროექტო საზარო სკოლაში გაეშენა და თავიანთი მოვალეობის შესრულებას ვუძღვანე. მანდატურის სამსახურის ინსტიტუტი ეტაპობრივად ამოქმედდა საპარტნიორო ყველა ძალის საზარო სკოლაში. სკოლის მანდატურები საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საგანმანათლებლო მათთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსდნენ და აღიჭურვნიან თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით.

დღეისათვის, 1200-მდე მანდატური ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. პირველივე მანდატურების სკოლაში შესვლას საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. ერთი მხრივ, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა და დისციპლინის დაცვა, თავისთავად, დადებითი მოვლენაა, თუმცა, მას შემდეგ, რაც მანდატური პედაგოგების, დირექტორებისა და ზოგადად სკოლის გაუმჯობესებლად მუშაობდა გადამიქცნენ, მომავალად მათ მიერ ოქმის დაწერის უპიტიანობა, რაც ხშირად პედაგოგის თუ დირექტორის გათმვის უფლების საპატივს ხდებოდა. მოსწავლეებისთვისაც

მანდატურები „დასჯა“ პოლიტიკაზე ასოცირდებოდნენ, მათთან ურთიერთობის ფორმა და დონა კი განსაზღვრული იყო. ვერც მანდატურის სამსახურის მიერ ბავშვებზე უსაფრთხო სტატუსის დაცვა, საპარტნიორო მუშაობის შედეგების შესახებ, შეცვალა საზოგადოებისთვის „საინფორმაციო“ ძველი მანდატურის დამოკიდებულება. ნდობა დაიკარგა და მათი სკოლაში გამოჩენა არასასურველი გახდა. სწორედ ეს გახდა მანდატურის სამსახურის რეფორმის მიზეზი. მანდატურის ფუნქცია და კომპეტენცია იცვლება, მთლიანად ბავშვის უფლებების დაცვაზე და მის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ხდება. სამსახურის სახელწოდებაც და შენაარსიც ცვლილება განიცდის – „განვითარების, მენეჯერისა და ფსიქოლოგიური სამსახური“ დაარსდა, ხოლო მანდატურების ნაცვლად მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა დაცვის ოფიცრები იზრუნებენ. ისინი მოახდენენ მოსწავლეთა ძველი დარღვევებისა და ფსიქოლოგიური პრობლემების იდენტიფიკაციას და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ფსიქოლოგიურ ცენტრში გადაიხილათ საკითხი. პროექტის მიხედვით, ბავშვთა დაცვის ოფიცრებს სხვადასხვა დროს და სკოლის ადმინისტრაციის სპეციალისტების ჩართვის უფლება არ ეძლევათ. აღნიშნულ ცვლილებაზე მანდატურის სამსახურთან შექმნილი ფსიქოლოგიური



ცენტრი წარმართავს, რომლის ხელმძღვანელი ბატონი ლევან ზარდალაშვილი თავად არის ამ პროექტის ავტორი. კანონმდებელი მუშაობს და პარლამენტში განხილვას ელოდება. მის დამატებითაა და კი ჩვენი მიმდინარე მუშაობის სინტეზის იძენება პროექტის ავტორთან საუბარში, რა ფუნქციები ჩამოერთმია ან რა ახალი ფუნქციები შეითვისა მანდატურის სამსახურმა.

ბატონო ლევან, რა მიზნით ჩამოყალიბდა თქვენი ცენტრი?

ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნის იდეა, ჯერ კიდევ 20-25 წლის წინ, გაგვიჩნდა მე და გიორგი მარგველაშვილს – მხოლოდ სურვილის დონეზე ვამბობდით, რა კარგი იქნებოდა, სკოლებს ფსიქოლოგები რომ ჰყოლოდათ. რადგან მანდატურის სამსახურის მიმართ საზოგადოებაში მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება არსებობდა, როგორც კი გიორგი მინისტრი გახდა, ფსიქოლოგიური ცენტრის გახსნა გადაწყვიტეთ. არ მინდა იმის განხილვა დავიწყო, სწორედ ფორმა იყო თუ არა მამინდელი მანდატურის სამსახური (პრინციპში, ამას არსებითი მნიშვნელობა ახლა აღარ აქვს), მაგრამ მისი შეცვლის მიზნით სწორედ მანდატურის სამსახურთან თანამშრომლები ფსიქოლოგიური ცენტრი. არ გვიდოდა რეალურად დიდი რესურსის დაკარგვა. სრულიად არ არის მართებული ვთქვათ, რომ ამ სამსახურში მხოლოდ „ბოროტები“ მუშაობდნენ ან, პირიქით, ყველა კარგი იყო. უბრალოდ, ეს იყო სამსახური, რომელიც, თავის დროზე, გარკვეული მიზნისთვის შეიქმნა და იმ მიმართულებით მიდიოდა. ამ სამსახურის ბევრი თანამშრომელი (დაახლოებით, 80%) უმაღლესი განათლების მქონე, ძალიან მონადინებული და მონდომებულია. ეს რესურსი რომ გამოგვეყენებინა, ამისთვის ჩამოვყალიბებ ფსიქოლოგიური სამსახურის მანდატურის სამსახურს გადაერქმევა სახელი – ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიური სამსახური, შესაბამისად, მანდატურს – ბავშვთა დაცვის ოფიცერი. მისი ფუნქცია იქნება ბავშვის ფიზიკური, მორალური, ფსიქოლოგიური და უფლებრივი დაცვა, რაზეც თვითონ სამსახურის დასახელებამ მიგვითითებს.

უფრო დეტალურად რა ფუნქციებს შეითავსებს ბავშვთა დაცვის ოფიცერი?

ზაზი მინდა გავუსვათ იმას, რომ მანდატური ფსიქოლოგად არ გადაკეთდება. მანდატურის ფუნქცია, არც ერთ შემთხვევაში, არ იქნება ფსიქოლოგის ფუნქციის მსგავსი და ტოლფასი. ოფიცერმა უნდა იცნავდეს პრობლემის იდენტიფიკაციას, რაც ნიშნავს იმას, რომ შეძლოს მოსწავლის პრობლემის დანახვა, შემდეგ საკმისი კურსში ჩააყენოს მშობელი, პედაგოგი, დირექტორი და ჩვენი სამსახური. ამის შემდეგ გადამწყვეტია, ბავშვს ცენტრის დახმარება სჭირდება თუ საკმარისი საშუალებები არაა პედაგოგის ჩარევა. ცენტრი ნებაყოფლობითაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვი თავად გა-

დაწყვეტს, სურს თუ არა ჩვენი დახმარება. თუკი მოსწავლე ან მშობელი ჩვენი ჩარევის წინააღმდეგია, ძალით ფსიქოლოგია, ბუნებრივია, არ განხორციელდება.

ბავშვთა დაცვის ოფიცრის მეორე ფუნქციაა დაცვის ნესრივი, რაც თავისთავად მეორადი მოვლენაა, რადგან მთავარია მან ბავშვის უსაფრთხოება დაიცვას, აქედან გამომდინარე – ნესრივი. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ბავშვი იყოს უსაფრთხო გარემოში.

მანდატურებმა გაიარეს (წინააღმდეგე გაივლის) სპეციალური მომზადება პირველად დახმარების აღმოსაჩენად. ასევე, გაივლიან კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების სერიოზულ კურსს. გარდა ამისა, შევასწავლით ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძვლებს (პოლოტიკების რეჟიმში; ეს კურსი წარმატებით განხორციელდა და კარგი შედეგები მივიღეთ), ზოგად სიმპტომატიკას გარკვეული ტიპის ფსიქიკური პრობლემების დროს, რათა შეძლონ იდენტიფიკაცია; ვასწავლით მედიაციას, კონფლიქტის მოგვარებას, გავაცნობთ ბავშვის განვითარების ეტაპებს. ეს სერტიფიცირებული კურსია, სადაც მანდატურები ძალიან მაღალ დონეზე აბრუნებენ გამოცდებს. საბოლოოდ, გვინდა, ამ სამსახურმა ისეთი სახე მიიღოს, რომ ბავშვთა დაცვის ოფიცერი გახდეს ის ადამიანი, ვისაც შეიძლება დაეყრდნოს პედაგოგიც, მშობელიც და ბავშვიც. მისი ფუნქციებიდან საერთოდ ამოღებულია სასწავლო პროცესის, დირექტორის თუ მასწავლებლის კონტროლი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პედაგოგი ბავშვზე ძალადობს (სცემს ან სხვ.) თუკი მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდება, რასაკვირველია, ბავშვთა დაცვის ოფიცრს ჩარევის უფლება აქვს, სხვა შემთხვევაში, თუკი ბავშვს არანაირი საფრთხე მასწავლებლის ან დირექტორის ქმედებიდან არ ემუქრება მას ჩარევის უფლება არ აქვს. ბავშვთა დაცვის ოფიცერი ბავშვის უფლებების ქმედობრივ დამცველი უნდა იყოს.

ბუნებრივია, ახალი ტიპის „მანდატური“ გადამზადების გარეშე ახალ მოთხოვნებს ვერ უპასუხებს, როგორ წარმოიქმნება გადამზადების პროცესი?

ჩვენ გადავამზადეთ მადამინი, აქედან 6-მა შეძლო გამოცდის ჩაბარება. ისინი დაგვეხმარებინა სხვა მანდატურების გადამზადებაში. მანდატურების გადამზადების პროცესი უკვე მიმდინარეობს, იქნება 20-20-კაციანი ჯგუფები და, ეტაპობრივად, 2015 წლამდე, ყველას გადამზადებას შევძლებთ. გადამზადების პრო-

ცესი ძალიან შრომატევადია, რადგან მხოლოდ ტრენინგებით არ ვკმაყოფილდებით. მთავარია შედეგი, ამიტომ გადაამზადებული კადრები ახარებენ გამოცდას.

ყოფილ მანდატურებს, რომლებიც ვერ ჩაბარებენ გამოცდას, ავტომატურად შეუნწყდებათ სტატუსი თუ კიდევ მიეცემათ გამოცდის ჩაბარების შანსი?

მათ ვაძლევთ დროს, მინიმუმ ნახევარ წელს – შეუძლიათ მოემზადონ და ისევ სცადონ ბედი. ჩვენი ცენტრის გარდა, გადამზადება სხვაგანაც შეუძლიათ გაიარონ, განსხვავება იმაშია, რომ ჩვენთან ტრენინგები უფასოა.

გასულ კვირას უნისფრმა წარმოადგინა ბავშვთა ძალადობის შესახებ კვლევა, რომლის პრეზენტაციაზე ითქვა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კერძოდ მანდატურის სამსახური უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პრობლემის აღმოფხვრაში.

ჩვენ ამ პროცესში, რასაკვირველია, ჩართულნი ვართ. ბავშვთა უფლებების დაცვაში, ბუნებრივია, პირველ რიგში, ძალადობისგან მათი დაცვა მოიაზრება. როგორც ვითხარით, სკოლაში სწორედ ბავშვთა დაცვის ოფიცერმა უნდა დაიცვას მოსწავლეების უფლებები.

როგორ მიიღეს ახალი ნესები თავად მანდატურებმა (ძველმა კადრებმა)?

საკმაოდ დიდი როლაცია, ბევრი მიღის, შესაბამისად, ახალ კადრებს ვიღებთ. აქედან გამომდინარე, ბევრი ახალი თანამშრომელი მოვიდა, რომელიც ძველ პრესში გავლილი არ არის. აღმოჩნდა, რომ ძველი კადრებიდან ბევრს შინაგანი წინააღმდეგობა ჰქონდა მანდატურის სამსახურის ძველ ნესებთან, ხშირად არ წერდნენ ოქმებს, იცავდნენ ბავშვთა უფლებებს. ისინი ცვლილებებს, რა თქმა უნდა, სიხარულით შეხვდნენ. ჩვენი სახელე ერთ პრინციპზეა აგებული: უნდა ისწავლო, ჩააბარო გამოცდა, შემდეგ იმუშაო დადგენილი ნესებით და აუცილებლად იქნება მკაცრი კონტროლი. თუმცა, ის კი არ გაკონტროლდება, მაგალითად, როგორ ახერხებს ქუდი მანდატურს, არამედ ის, თუ როგორ შედეგს იღებს საბოლოო ჯამში. დარწმუნებული ვარ, ახალი ნესებით ამ იდეის მონიშნულმდეგეები თავისთავად გაიცილებიან.

ახალი მანდატური, გარკვეულწილად, სკოლის ფსიქოლოგს ხომ არ ჩაანაცვლებს?

სკოლის ფსიქოლოგზე მოთხოვნას, ფსიქოლოგის გარდა, ვერაფერ შეავსებს. ბავშვთა დაცვის ოფიცერი იმისთვის არ არის მონოდებული, რომ ფსიქოლოგი ჩაანაცვლოს, მან სამ რამეში უნდა შეგვიწყოს ხელი: პირველია პრევენცია – ამ მიმართულებით, ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად, ახლა ვამზადებთ ძალიან დიდ პროექტს. პრევენციის მიზნით, გვინდა აღვადგინოთ ტრადიცია, რომელიც 1985 წელს დამკვიდრდა გურამ რამიშვილის საავტორო გერმანულ სკოლაში – ბავშვების ლაშქრობები და ექსკურსიები. გვინდა პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით განვახორციელოთ. გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წაიყვანოთ და კარგებში ვაცხოვრებთ, მათთვის იქ გვეგმავთ სხვადასხვა ღონისძიებებისა და ტრენინგების მოწყობას. ამ პროცესში ძალიან აქტიურად ჩაერთვებიან ბავშვთა დაცვის ოფიცრები. ადრე მანდატურებს ბავშვებთან ერთად ექსკურსიებზე სიარული ეკრძალებოდათ, რომ არ დაახლოებოდნენ მოსწავლეებს. ჩვენი პროექტი კი, პირიქით,



თავისთავად ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მაგალითად, ჩხუბია, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ბავშვთა დაცვის ოფიცერი უნდა ჩაერთოს და დაიცვას ბავშვის უსაფრთხოება. სწორედ ამ მიზნით, ისინი სპეციალურ მომზადებას გაივლიან, როგორ განაიარაღონ მოძალადე. მადლობა ღმერთს, ჩვენს სკოლებში მსგავსი შემთხვევები არ ფიქსირდება.

საგანგებო ვითარებაში აქვს თუ არა მანდატურს უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და შეატყობინოს პოლიციას? – რა თქმა უნდა, აქვს. ზოგჯერ სასწრაფოს ან პოლიციის გამოძახება აუცილებელი ხდება, ამიტომ ინსტანციებში საკითხის მოგვარებას, რასაკვირველია, სჯობს, ბავშვთა დაცვის ოფიცერმა, საჭიროებისამებრ, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

ვამზადებთ მაღალკვალიფიციურ კადრებს, გვეყოლება ბავშვთა დაცვის ოფიცერი, ბავშვთა დაცვის უფროსი ოფიცერი და ბავშვთა დაცვის მაგისტრი. ეს გრადაციები ხელფასებზეც აისახება და მოტივაციასაც გაზრდის.

ბატონო ლევან, თქვენ აღნიშნეთ, რომ მანდატურის სამსახური გარკვეული მიზნისთვის შეიქმნა, დღეს კი სულ სხვა მიზნისკენ ნახვედით. ხომ არ დააკონკრეტებთ, რაში მდგომარეობს განსხვავება?

თავიდან არც მანდატურის სამსახურის მიზანი იყო ცუდი – ამერიკული მოდელი აიღეს (აშშ-ს 11 შტატში არსებობს მანდატურის სამსახური, თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, ამერიკული მანდატურის სამსახური შეიარაღებულია), რომლის მიზანი სკოლაში წესრიგის დამყარება გახდა, ამიტომ ეს ცოტა გასამხედროებული ტიპის ორგანიზაცია გახლდათ. მანდატურის მთავარი ფუნქცია იარაღის ან სხვა მსგავსი საგნის ამოღება, ჩამორთმევა, ოქმის დაწერა და ა.შ. იყო. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ეს მშობელზე ზემოქმედების მოხდენის მშვენიერი საშუალება იყო (მშობელი, მოგვხსენებთ, ამომრჩეველია...). თანდათანობით მანდატურ-

აქტუალური თემა

რის სამსახური სკოლის – პედაგოგის მკონტროლებლად გადაიქცა. მართალია, თვითონ ვერავის ხსნიდა, მაგრამ მის მიერ შედგენილ ოქმს, შესაძლოა, პედაგოგის ან დირექტორის სამსახურიდან განათავისუფლება მოჰყოლოდა. სწორედ ამან ჩამოაყალიბა მანდატურისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

მე ფსიქოლოგი ვარ და ამ კუთხით მივუდგები – საბოლოო ჯამში, რაოდენობრივი შედეგი თვისობრივი შედეგი არ არის. შესაძლოა თვისობრივი შედეგი გადავიდეს, მაგრამ ამას ძალიან დიდი დრო სჭირდება. ამ აჩქარებულ საუკუნეში კი, ლოდინის დრო არ გვაქვს. გადაწყვეტილი მანდატურის სამსახურის ფუნქცია საერთოდ სხვა მხარეს მოვატრიალოთ და ახალი მიმართულებით წავიღოთ, ანუ მივიღოთ თვისობრივი შედეგი – მივალნით ნდობას, ჩავატაროთ პროფილაქტიკური და აღმზრდელი სამუშაოები, მივალნით იმას, რომ ბავშვთა დაცვის ოფიცერმა ბავშვებში, მშობლებსა და პედაგოგებში ავტორიტეტი და ნდობა მოიპოვოს. ამის მიღწევის ერთადერთი გზა სწორი ქმედებაა.

– ადრე მანდატურს ბავშვებთან ახლო კონტაქტი ვკარგავდით...

– დიახ, მიანდათ, რომ ახლო კონტაქტის შემთხვევაში მანდატურები ოქმს ალარ დაწერდნენ. პირადად მე, ოქმის შედგენის წინააღმდეგი ვარ, ჩვენ ვანარმობთ დარღვევის აღრიცხვას, ვაფიქსირებთ და აღვწერთ ფაქტებს, ვქმნით ელექტრონულ ბაზას, რათა შემდგომ, ამ მასალის გაანალიზების საფუძველზე, სტატისტიკურ მონაცემთა სრული ბაზა შეიქმნას. ჩვენი ფუნქციაა დაცვა და არა დასჯა. აქედან გამომდინარე, ბავშვთა დაცვის ოფიცერი, დარღვევის შემთხვევაში, შეადგენს აღრიცხვის ფურცელს

და ეს ინფორმაცია გადაეცემა სკოლის ადმინისტრაციას, რაც თავად სკოლასაც დაეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რა ღონისძიებების დაგეგმვა იქნება საჭირო. ჩვენი მიზანია, ბავშვთა დაცვის ოფიცერმა თავის ავტორიტეტით მოიპოვოს ნდობა და არა ოქმის წერით.

– როგორ აპირებთ ბავშვთა დაცვის სამსახურის შესახებ საზოგადოების – მშობლების, ბავშვების – ინფორმირებას და მანდატურის მიმართ დეკარგული ნდობის აღდგენას?

– როგორც კი კანონში შევა ცვლილება, დიდი პიარკამპანის წამოწყებას ვგეგმავთ, ჩვერთავი მედიას. გარდა ამისა, სკოლებში წავიკითხავთ ლექციებს ციკლს ბავშვებისთვის, პედაგოგებისა და მშობლებისთვის. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა მასწავლებლები ბავშვებს „ჩვენით“ აწინებენ – ფსიქოლოგთან გაიქცევიან. ამიტომ გვინდა, რომ მოკლე ლექციების ციკლით ავუსხნათ მშობლებს, ბავშვებს, პედაგოგებს, რა არის ეს ახალი სამსახური, რას აკეთებს ბავშვთა დაცვის ოფიცერი, რა დროს უნდა მიმართოთ მას, რისი უფლება აქვთ. უფლება-მოვალეობებსა და შიდაგანაწესს აუცილებლად გამოვაქვეყნებთ.

ხშირად გვეკითხებიან, როგორ მივალნით ამას და სად იშვით ამდენ ხალხს? ეს კითხვა სწორად არ არის დასმული იმიტომ, რომ ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ერთ კონკრეტულ სამსახურს, სადაც ამდენი ამაღლებული და კეთილშობილი რაინდია თავმოყრილი, ჩვენ ასეთი სისტემა უნდა შევქმნათ, სისტემამ უნდა იმუშაოს და არა ცალკე ადამიანმა მანდატურმა ან ოფიცერმა. მათი უფლება-მოვალეობები ამ სისტემის ფარგლებში უნდა განისაზღვროს. სახელის, ფორმის, ფუნქციებისა და მიზნის



შეცვლა, ერთობლიობაში, იმედია, სერიოზულ შედეგს მოგვცემს.

– რომელი ქვეყნის მოდელს იყენებთ მანდატურის ახალი სამსახური?

– ეს ჩვენს რეალობაზე მორგებული მოდელია, რომელიც არც ერთი ქვეყნის იდენტური არ არის. ბუნებრივია, ამერიკული თუ ევროპული მანდატურის სამსახურების გარკვეული გამოცდილებაა გაზიარებული, თუმცა ვაგიმეორებ, ეს ქართული მოდელია. სხვათა შორის, ახლახან, ამერიკელ სპეციალისტებს, რომლებმაც ტრენინგები ჩაატარეს, ჩვენი საქმიანობა ძალიან მოეწონათ.

– კერძო სკოლებისთვის გახდება თუ არა სავალდებულო სკოლის ოფიცერი?

– კერძო სექტორისთვის სავალდებულო არ იქნება, წინა შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

უბრალოდ, იმედი მაქვს, კერძო სკოლები, რომლებიც ახლა სახელმწიფო დაცვის სამსახურს ქირაობენ, მომავალში ჩვენ დავაქტიურებენ.

– რა პროფესიის ადამიანი შეიძლება გახდეს მანდატური?

– ბავშვთა დაცვის ოფიცრებს ტრენინგებზე ისეთ მასალას ვანვით, რომლის დასაძლევად გარკვეული ცოდნაა საჭირო. როცა ვლაპარაკობთ ბავშვის განვითარების ეტაპებზე, მედიაციაზე, კონფლიქტის მოგვარებაზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (ფაქტობრივად, ფსიქიატრიის და ფსიქოპათოლოგიის შესავალ კურსს სწავლობენ), ამისთვის სასურველი იქნება უმაღლესი განათლება.

ესაუბრა
ლალი ჯეილაძე

სადისკუსიო კლუბი

პედაგოგთა სერტიფიცირების შესახებ



ბეკა მშველიძე

პედაგოგთა სერტიფიცირების სამარცხვირო შედეგები აბსოლუტურად არ არის მოულოდნელი და ადასტურებს, რომ ქართული სკოლა ღრმა კრიზისშია. მსოფლიოში ყველაგან აღიარებულია ტრინიფიკაციის მნიშვნელობა – განათლების მაღალი ხარისხის მთავარი განმამარბებელი სწორედ პედაგოგთა პროფესიული კომპეტენციაა. თუ ამჟამინდელი შედეგებით ვიმსჯელებთ, ხარისხზე ოცნება სხვა დროისთვის უნდა გადავდოთ.

წლების განმავლობაში არაერთხელ და საჯაროდ განმცხადებია, რომ:

სახელმწიფო ძალიან „მცირედ“ ირჯება, რომ მასწავლებელთა მოტივაცია საქართველოში გონივრულ სიმაღლეზე იდგეს. გონივრულზე თუ არა, ასატანზე მაინც. შრომის ანაზღაურების მინიმალური მატემა წლების განმავლობაში არაფერს ცვლის. ამ მიმართულებით რადიკალური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო – სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებს ამკარად გადახედვა სჭირდება.

ამავე მიზეზით სკოლებში არ და ვერ მოდის საუკეთესო ახალგაზრდობა – პედაგოგთა კორპუსის პარამონიული განახლების ნაცვლად ჩვენ ვიღებთ „სტაბილურ უცვლელობას“, უმოტივაციო და ნაკლებად საინტერესო კადრების ლამის უსიცოცხლო „აქტივობას“ სასწავლო დაწესებულებებში. ამ ადამიანთა დიდი ნაწილისთვის სკოლაში მუშაობა სიხარულისა და შემოქმედებითი იმპულსის დაბადების ადგილი კი არ არის, არამედ სივრცე, რომელიც 3-4 გაკვეთილის ჩატარების შემდეგ სწრაფად უნდა დატოვოს.

განათლების ხარისხის მოუთხოვნელობა, როგორც სახელმწიფოს, ისე, სამწუხაროდ, საზოგადოების მხრიდანაც დღის წესრიგიდან თითქმის მთლიანად ამოვადო პედაგოგთა მუშაობის ობიექტური შეფასება და საჯარო სამსჯავროზე გამოტანა. რაკი სახელმწიფო ბევრს ვერაფერს და არაფერს აკეთებდა მასწავლებლებისთვის, არც არაფერს სთხოვდა მათ. განა ამის უდავო დასტური არ არის ის, რომ ეს სერტიფიცირება

არაერთგზის, სრულიად არამოტივირებულად და ულოგიკოდ გადაიდო?

სახელმწიფომ ისე მოშალა (1993 წელს) პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, რომ სანაცვლოდ ვერაფერი ღირებული შექმნა. მხოლოდ საზოგადოებრივი სექტორის აქტივობები ამ კუთხით ვერც ხარისხითა და ვერც მასშტაბით სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა და ვერ იძლევა. როგორც საზოგადოებრივმა, ისე სახელმწიფო (რომელიც უფრო მასშტაბურად უნდა აღდგეს, ვიდრე 1-2 „მასწავლებლის სახლი“) სისტემებმა უნდა უზრუნველყონ ხელმისაწვდომობაც, ხარისხიც და სათანადო გამტარუნარიანობაც.

ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ შესანიშნავი მასწავლებლებიც გვყავს, მაგრამ ისინი „გადამწყვეტ უმცირესობაში“ არიან და საერთო სურათს არსებითად ვერ ცვლიან. ყოველთვის აღვნიშნავდი და ახლაც ვიტყვი, რომ შედარებით წარმატებული სკოლების პრეზენტაციას დასახელებული პედაგოგთა მხოლოდ 10-15 პროცენტზე.

მიზეზები მიზეზებდ, მაგრამ ახლა უკვე დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ „არავინ ვაიმევიროს თითო პედაგოგისაკენ. რედესაც სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ პედაგოგმა იზრუნოს საკუთარ კვალიფიკაციაზე და საკუთარ თავზე შეძლოს მუშაობა, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაგადაინაშულოთ კონკრეტული „პედაგოგი“ (გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი). ამგვარი პოზიცია მხოლოდ სანახევრო სიმართლეა. სახელმწიფოს თავისი წილი ცოდავ აწევს, სხვაც რომ არ დავუმატოთ.

განა მასწავლებელს ამ ქვეყნის, მისი საზოგადოების, საკუთარი თავისა და მოსწავლეების წინაშე არავითარი პასუხისმგებლობა არ აქვს?! ამგვარი თავზარდამცემი შედეგების პასუხი მხოლოდ სახელმწიფოს მოეთხოვება?! პედაგოგი რომ სწორედ იმ საკითხთა საარაკო უფიცობას გამოამყდვენებს, რომლებსაც თავის მონადეულს ყოველდღე ასწავლის (უნდა ასწავლიდეს), ეს სხვისი ბრალია?! განა ასე ძნელი გასაგები და სათქმელია, რომ საკუთარ პროფესიულ ვალდებულებასა და კომპეტენციის მუდმივ განვითარებაზე მთავარი პასუხისმგებელი თავად მასწავლებელია?!

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ, თუ გვსურს მართებული ანალოზი გავაკეთოთ და მომავალში მაინც არ აღმოჩნდეთ ასეთ უკიდურესად არასახარბილო ვითარებაში.

ამ თემაზე მსჯელობისას მავანთ მუდმივად ავინყვებთ ჩვენი ბავშვები – მოსწავლეები! ყველაფერზე ლაპარაკობენ: ხელფასების სიმცირეზე (სწორია!), პროფესიის ნაკლებ დაფა-

სებასა და პრესტიჟულობაზე (მართალია!) და ა.შ., მაგრამ წლების მანძილზე ძალიან იოლად ეგუებოდნენ და ეგუებიან იმას, რომ ბავშვების ზოგჯერ კატეგორიული პროტესტის მიუხედავად მათ „უინტერესო“ მასწავლებლები ასწავლიან. ეს მოსწავლეთა მასშტაბურ გაუცხოებასა და სკოლის მიმართ გულგრილობას იწვევს. სერტიფიცირების მუდმივი გადადებით (პედაგოგებზე „ზრუნვით“ ამართლებენ ამას!) სახელმწიფო წლების განმავლობაში „ირიბად“ უებნებოდა ბავშვებს, რომ მათი ინტერესები მეორეხარისხოვანია! ეს სახელმწიფოს კარგად არ ახასიათებს – პოლიტიკური მიზანშეწონილობის (არჩვენებისას პედაგოგთა მეტ-ნაკლები კმაყოფილება იმით, რომ მათ „არ ეხებიან“) პრევალირება განათლების მაღალი ხარისხის მიღწევაზე კარგის მომტანი ვერ იქნება ვერასდროს.

ამ თემაზე ორი წლის წინაც – პედაგოგთა პირველი ნაკადის სერტიფიცირების შედეგების ანალიზისა და შეფასებისას – ხმაამალდა ვსაუბრობდით, მაგრამ არავის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. როგორც „ქართული“ წესია, ცოტა ხანს ისაუბრეს და მერე პარამონიული ჩამყნარდნენ. ახლა არსებული მდგომარეობის გამოსწორებას (ხვალიდანვე კარგად გააზრებული სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო სახსრები და კადრები რომც მოქმედებდა და შეესაბამებოდა დავიწყობ) წლები დასჭირდება. რა გარანტია გვაქვს, რომ მდგომარეობის გონივრულ ვადამი სისიკეთოდ შეცვლას შევძლებთ? პრაქტიკულად – არანაირი, თუკი ჩვეული გულგრილობით, გულარზხინობითა და უპასუხისმგებლობით გაეგარძელებთ „საქმიანობას“. ცალკეული, თუნდაც რიგიანი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით საკმარისი არ იქნება – ასეთი ნაბიჯები ადრეც იდგებოდა, მაგრამ მათ შედეგი ნაკლებად ახლდა.

იქნებ ახლა მაინც გამოაცხადოს სახელმწიფომ „საგანგებო მდგომარეობა“ განათლების სფეროში და გაბედული, რადიკალური ნაბიჯები გადადგას საქართველოს პედაგოგთა კორპუსის მოტივაციისა და პროფესიული მომზადების ასამაღლებლად. იქნებ ახლა მაინც მოითხოვოს საზოგადოებამ სკოლებში და კონკრეტული მასწავლებლებისგან იმის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი გაკეთება მაინც, რაც არსებულ პირობებში შესაძლებელია?! – განა დღევანდელი თაობები ზრდას შეწყვეტენ და დაგველოდებიან, როდის მოვახერხებთ ყველა პრობლემის გადაწყვეტას?

ჯერ სერტიფიცირებულობაც არ არის მყარი გარანტია კარგი მასწავლებლობის (მხოლოდ ცოდნას საზღვრავს და არა ამ

ცოდნის პრაქტიკაში კარგად და შედეგიანად გამოყენების უნარს) და ამდენი ჩაჭრილი მასწავლებელი ძალიან დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემას ბადებს. სხვათა შორის, მადლობა უნდა ვუთხრათ გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რომელმაც საზოგადოებას სრულად აჩვენა ამ პრობლემის თავზარდამცემი მასშტაბი. ერთიც უნდა ვახსენოთ: როდესაც რომელიმე ხელმძღვანელი სკოლიდან, სრულიად ობიექტური შეფასების საფუძველზე, არაკომპეტენტურ მასწავლებელს გაუშვებდა, ხშირად ამას არაადეკვატური საზოგადოებრივი რეაქცია მოჰყვებოდა და ხოლმე – აი, როგორ ითხოვენ სკოლებიდან კვალიფიციურ კადრებს! ამ სერტიფიცირებამ თვალნათლივ დაანახვა – სპეციალურად ურწმუნეობაც კი, რასთან გვეკონდა და გვაქვს საქმე.

ამის შესახებ არაერთხელ მისაუბრია განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებთან. ბევრი მათგანი მეთანხმებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მათ არაფერს შეცვლა არ შეეძლოთ. ან იქნებ არც სურდათ. წლების განმავლობაში, მიუხედავად ბევრი თხოვნისა, ვერაფერი მივიღე უფლება, კონკურსის წესით შემერჩია პედაგოგები ჩვენი სკოლისთვის – რაგინდარა განათლებასთან დაუკავშირებელი მიზეზებით ამაზე ყოველთვის უარს მეუბნებოდნენ (ამ შემთხვევაში პოლიტიკური კონიუნქტურა „ჭამდა“ საზოგადო ინტერესს). ამის შესახებაც არაერთხელ მითქვამს საჯაროდ, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

რა უნდა გაკეთდეს? მოდით, დავხსნდეთ და ვისაუბროთ ამ თემაზე – ტელევიზიებში, რადიოებში, გაზეთებსა და ყურნალებში, შეხვედრებზე, კონფერენციებზე – გამოვაცხადოთ ეს საკითხი სახელმწიფოს პირველ პრიორიტეტად! საჯაროდ დისკუსიები კარგი საფუძველი იქნება მართებული დასკვნების გამოსატანად და სათანადო გადაწყვეტილებებისა და საზოგადოებრივად შეთანხმებულ ფუნდამენტს შეუქმნის.

ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი იქნება. დებატებისა თუ დისკუსიისას (როგორც სამწუხარო „წესად“ დამკვიდრდა) ყველა თავისი „უბრალოებისა“ და სიმართლის დასაბუთებას დაიწყებს, მაგრამ ეს მომენტი უნდა გადავლახოთ და უახლოესი თუ პერსპექტიული მომავლის ინტერესების გათვალისწინებით ვიფიქროთ თუ ვიმოქმედოთ.

საქმეს მხოლოდ ამგვარი მიდგომა გამოასწორებს – ყველაფერი დანარჩენი თვითგემას დაემსგავსება.

სასარტიფიკაციო გამოცდა

გეობრაფიის კედაგობთა დასახმარებლად



მანია ბლიაშვილი გეობრაფიის მენეჯერია

გთავაზობთ სხვადასხვა სახის ტესტებსა და სავარჯიშოებს გეობრაფიის მასწავლებელთა დასახმარებლად. ვფიქრობთ, მოცემული მასალა დიდ დახმარებას გაუწევს მათ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებლად.

1. რა არის ანკლავე?

ა) ტერიტორია, რომელიც ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოს ეკუთვნის; ბ) ტერიტორია, რომელიც დაცვილებულია ქვეყნისგან, მაგრამ მას ეკუთვნის; გ) მმართველობის ფორმა; დ) ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა თეოკრატიულ მონარქიაში.

2. წინადადებაში გამოტოვებული სიტყვების ადგილას უნდა ეწეროს: მასშტაბი 1: 150 მ ვიდრე 1: 150000

ა) 10-ჯერ მსხვილია; ბ) 2-ჯერ მსხვილია; გ) 100-ჯერ მსხვილია; დ) 1-ჯერ წვრილია; ე) 10-ჯერ წვრილია.

3. სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებად ითვლება სანაპირო ზოლი, რომლის სიგანეა:

ა) 12 მილი; ბ) 2 მილი; გ) 100 მილი; დ) 50 მილი.

4. ამჟამად ყველაზე მეტი „ცხელი წერტილები“ მსოფლიოს რუკაზე არის:

ა) ევროპაში; ბ) აზიაში; გ) ჩრდ. ამერიკაში; დ) სამხრ. ამერიკაში.

5. ქვეყნის მაღალი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე, უზირველეს ყოვლისა, ხასიათდება:

ა) მოსახლეობის რაოდენობით; ბ) ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლით; გ) მოსახლეობის სიმჭიდროვით; დ) ფასებით გაზეთებსა და ჟურნალებზე.

6. შრომის გეოგრაფიული დანაწილება განისაზღვრება:

ა) ქვეყნის ან რეგიონის სპეციალიზაციით გარკვეული სახის პროდუქციის დამზადებაზე; ბ) მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით; გ) ქვეყნის ტიპით; დ) ქვეყნებს შორის პროდუქციისა და მომსახურების გაცვლით.

7. ევროპაში ძველი სამრეწველო რაიონების მაგალითებია:

ა) ბამი; ბ) რური და ზემო სილეზია; გ) ალპები; დ) ვოლგის დელტა.

8. აფრიკის ქვეყნების უმრავლესობისთვის გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია:

ა) მდინარეებისა და ტბების რაოდენობა; ბ) გასასვლელი მსოფლიო ოკეანეში; გ) მეზობელი ქვეყნები; დ) უნიკალური გეოგრაფიული ობიექტების რაოდენობა.

9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა ოპეკის წევრია:

ა) ნორვეგია; ბ) კოლუმბია; გ) მალაიზია; დ) ვენესუელა.

10. ლატინური სამრეწველო რაიონი მდებარეობს:

ა) საფრანგეთში; ბ) პოლონეთში; გ) გერმანიაში; დ) გაერთიანებულ სამეფოში.

11. აშშ-ს რომელ მაკრორეგიონში მდებარეობს მაღალი ტექნოლოგიების განვითარების რაიონი სილიკონის ველი:

ა) დასავლეთში; ბ) სამხრეთში; გ) ჩრდილო-აღმოსავლეთში; დ) შუა დასავლეთში.

12. მსოფლიოს ყველაზე ურბანიზირებული რეგიონია:

ა) სამხრეთი აზია;

ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია; გ) დასავლეთ ევროპა; დ) ლათინური ამერიკა.

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აფრიკის რომელი ქვეყანაა მონარქიული მმართველობის:

ა) ეგვიპტე; ბ) მაროკო; გ) ნიგერია; დ) ნამიბია.

14. რომელი ნიშანი მიეკუთვნება გეგმას:

ა) წერილი მასშტაბი; ბ) კარტოგრაფიული პროექცია; გ) პირობითი ხაზობრივი ნიშნები ჰიდროგრაფიული ქსელის (მდინარეების) გამოსახვადა; დ) მდინარის მიმართულების მაჩვენებელი ისარ.

15. რა ეწოდება მსხვილ სუბგანედურად გადაჭიმულ ტერიტორიას საპარის სამხრეთი პერიფერიის გასწვრივ, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებანი: „ხშირია გვალები; წარმოადგენს ინტენსიური გაუდაბნობის ზონას, რაც უპირატესად გადაშენებული ძოვების შედეგია; სასურსათო პრობლემა და შიმშილი აქაური მოსახლეობის ძირითადი სოციალური პრობლემაა; წარმოადგენს ჰუმანიტარული დახმარების რეგიონს“.

ა) საჰელი; ბ) მალბორი; გ) მადეირა; დ) კარუ.

16. რომელ ტერიტორიაზე არ გვხვდება ფორდები:

ა) ახალი ზელანდია; ბ) ალასკა; გ) ნიდერლანდი; დ) ჩილე.

17. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დინებაა თბილი:

ა) ნორვეგიის; ბ) პერუს; გ) ბენგალის; დ) ლაბრადორის.

18. რა ხდება, როცა თქვენ თარიღთა ცვლის ხაზს აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაკვეთთ:

ა) დღევანდელი დღის თარიღი გუშინდელი დღის თარიღით იცვლება; ბ) დღევანდელი დღის თარიღი ხვალისდელი დღის თარიღით იცვლება; გ) თარიღი არ იცვლება; დ) კვირის დღეები რჩება უცვლელი.

19. რით აიხსნება დასავლეთ ევროპის რბილი კლიმატი:

ა) დასავლეთ ევროპის განედური განფენილობით; ბ) დასავლეთ ევროპის ზღვასთან სიახლოვით; გ) დასავლეთ ევროპის მერიდიანული განფენილობით; დ) დასავლეთ ევროპაში ვრცელი ტყის მასივების არარსებობით.

20. ზომიერი კლიმატური სარტყლის ჰავის რომელი ტიპისთვის არის დამახასიათებელი ზამთარში დაბალი ტემპერატურები:

ა) ზღვიური; ბ) ზომიერად კონტინენტური; გ) მკვეთრად კონტინენტური; დ) მუსონური.

21. პარაგვაის სახმელეთო საზღვარი აქვს:

ა) ეკვადორთან; ბ) ბრაზილიასთან; გ) პერუსთან; დ) ურუგვაისთან.

22. მჟავა წვიმები განპირობებულია:

ა) ატმოსფეროს ოზონის შრის გარღვევით; ბ) ღრუბლებს გასაფანტად გამოყენებული მყარი ნახშირმჟავით; გ) დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მიერ მინერალური სასუქების გადაჭარბებული გამოყენებით; დ) მეტალურგიული საწარმოებისა და თბოელექტროსადგურების მიერ ატმოსფეროში გოგირდის ნაერთების გამოწვევით.

23. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე არ კვეთს ეკვატორი:

ა) ბრაზილია; ბ) ინდონეზია; გ) ტანზანია; დ) ვენესუელა; ე) ეკვატორი; ვ) გაბონი.

24. რომელი ქვეყნის ტერიტორია მდებარეობს ერთდროულად ორ კონტინენტზე:

ა) მაროკო; ბ) პანამა; გ) მალაიზია; დ) ეგვიპტე; ე) ეთიოპია; ვ) ავსტრალია.

25. რომელ კლიმატურ სარტყელს შეესაბამება აღწერილობა: „მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია ტროპიკული ჰაერის მასები, მაღალია ატმოსფერული წნევა, ჰაერის მასები ზაფხულში ძალიან მაღალი ტემპერატურით გამოირჩევა, ზამთარში ჰაერი შედარებით ცივია. ჰაერის მასები ძალიან მშრალია, ნელეები საკმაოდ იშვიათია“.

ა) ეკვატორული; ბ) ტროპიკული; გ) ზომიერი; დ) სუბტროპიკული.

26. რომელ კლიმატურ სარტყელშია გაბატონებული ზამთარში არქტიკული, ხოლო ზაფხულში ზომიერი ჰაერის მასები:

ა) სუბეკვატორული; ბ) არქტიკული; გ) ზომიერი; დ) სუბარქტიკული.

27. რომელი ქვეყნებისთვის წარმოადგენს საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგს ნავთობის მრეწველობა:

ა) ვენესუელა და ნიგერია; ბ) ბრაზილია და ინდოეთი; გ) საფრანგეთი და გერმანია; დ) პოლონეთი და ბულგარეთი.

28. რომელი ქვეყნებისთვის წარმოადგენს საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგს მარცვლეულის წარმოება:

ა) არგენტინა და მექსიკა; ბ) ფინეთი და პოლონეთი; გ) ინდონეზია და კამბოჯა; დ) ალჟირი და საუდის არაბეთი.

29. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ზღვების წყვილი მიეკუთვნება ატლანტის ოკეანის აუზს:

ა) ბერინგის და ადრიატიკის; ბ) ბარენცის და ლიგურიის; გ) ალბორანის და ლაბრადორის; დ) ჩრდილოეთის და ანდამანის.

30. რომელ ოკეანეში მდებარეობს ქვემოთ ჩამოთვლილი კუნძულები: ტენერიფე, დისკო, ზელანდია, ლონგ-აილენდი, ლესბოსი, ბიოკო, წმინდა ელენე, სან-ტომე.

ა) ატლანტის; ბ) წყნარი; გ) ინდოეთის; დ) სამხრეთის; ე) ჩრდილოეთ ცინულოვანი.

31. რომელ კონტინენტზე იცვლება მაღალი მთები ჯერ დაბლობით, ხოლო შემდეგ კი ზეგანით, თუ მოგზაური სამხრეთ ტროპიკის გასწვრივ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობს:

ა) აფრიკა; ბ) ავსტრალია; გ) სამხრეთ ამერიკა; დ) ჩრდილოეთ ამერიკა; ე) ევროპა; ვ) აზია; ზ) ანტარქტიდა.

32. რომელი რეგიონისთვისაა დამახასიათებელი მოსახლეობის უარყოფითი ბუნებრივი მატება (-2 კაცი 1000 კაცზე):

ა) ჩრდილოეთ აფრიკა; ბ) სამხრეთ-დასავლეთი აზია; გ) ავსტრალია და ოკეანეთი; დ) აღმოსავლეთ ევროპა.

33. მრეწველობის რომელი დარგია განვითარებული რურის (გერმანია), დონბასის (უკრაინა) და პენსილვანიის (აშშ) სამრეწველო რეგიონებში:

ა) ფერადი მეტალურგია, კერძოდ კი ალუმინის გამოდნობა; ბ) უახლესი მანქანათმშენებლობა; გ) ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა; დ) შავი მეტალურგია.

34. რომელი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი ექსტენსიური სოფლის მეურნეობა:

ა) დანია და შვედეთი; ბ) მონღოლეთი და ბანგლადეში; გ) ავსტრალია და გერმანია; დ) საფრანგეთი და იაპონია.

35. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა ფლობს რკინის მადნის ყველაზე მეტ მარაგს:

ა) არგენტინა; ბ) ბრაზილია; გ) მექსიკა; დ) თურქეთი.

36. რომელი მსჯელობა ეხება ურბანიზაციის პროცესს:

ა) მსხვილი ქალაქები წარმოქმნიან მიზიდულობის ზონებს, აყალიბებენ საქალაქო აგლომერაციებს ახლო მდებარე მრავალრიცხოვანი ქალაქებისა და სოფლების ხარჯზე; ბ) ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინები ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონია ევროპაში და სასოფლო დასახლებების სმირი ქსელით გამოირჩევა; გ) კანადაში მოსახლეობის 2/3 ცხოვრობს სამხრეთით 150 კმ-იან ზონაში, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო საზღვარს მიუყვება; დ) XX საუკუნის ბოლოს საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მუდმივად ან დროებით, დაახლოებით 35-40 მლნ ადამიანი მუშაობდა.

37. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა) სუბეკვატორულ კლიმატურ სარტყელში ზამთარში ტროპიკული ჰაერის მასებია გაბატონებული; ბ) სუბეკვატორულ კლიმატურ სარტყელში ზამთარში ზომიერი ჰაერის მასებია გაბატონებული; გ) სუბეკვატორულ კლიმატურ სარტყელში ზამთარში ზომიერი ჰაერის მასებია გაბატონებული; დ) ყველა პასუხი სწორია.

38. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა) მოსახლეობის აღწარმოების მარტივი ტიპისთვის დამახასიათებელია მაღალი მოკვდაობა; ბ) მოსახლეობის აღწარმოების გაფართოებული ტიპისთვის დამახასიათებელია დაბალი შობადობა; გ) მოსახლეობის აღწარმოების გაფართოებული ტიპისთვის დამახასიათებელია მაღალი ბუნებრივი მატება; დ) ყველა პასუხი სწორია.

39. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სამი ქვეყანა იყო საფრანგეთის კოლონია:

ა) შრი-ლანკა; ბ) ლიბანი; გ) პაკისტანი; დ) მალი; ე) ინდოეთი; ვ) ვიეტნამი.

40. მართებულია თუ არა მსჯელობა:

ა) კასპიის ზღვა სიღრმის მიხედვით მეორეა დედამიწაზე; ბ) ბალტიის ზღვის მარილიანობა უფრო მეტია, ვიდრე ბარენცის ზღვისა; გ) ლაბრადორისა და კანარის დინებები ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ცივი დინებებია; დ) ზემოთი ტაობები ძირითადად ატმოსფერული ნალექებით იკვებება; ე) დედამიწის ქერქის ქვეშ არსებულ ყველა სახის წყალს გრუნტის წყლები ჰქვია.

41. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყნები მდებარეობენ ატლანტის ოკეანის ნაპირებზე:

1. გაერთიანებული სამეფო; 2. იტალია; 3. თურქეთი; 4. ეგვიპტე; 5. მექსიკა; 6. კოლუმბია; 7. გაბონი; 8. მოზამბიკი; 9. ბულგარეთი; 10. გრენადა.

42. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყნებში გაედინება მდინარე დუნაი:

1. შვეიცარია; 2. გერმანია; 3. ჩეხეთი; 4. სლოვაკეთი; 5. უნგრეთი; 6. სლოვენია; 7. ხორვატია; 8. რუმინეთი; 9. ბულგარეთი; 10. ბელორუსი.

43. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყნები ესაზღვრება უნგრეთს:

1. გერმანია; 2. ავსტრია; 3. ჩეხეთი; 4. სლოვაკეთი; 5. უკრაინა; 6. მოლდოვა; 7. პოლონეთი; 8. სერბეთი; 9. ხორვატია; 10. სლოვენია.

44. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია იმ ქვეყნების დედაქალაქები, რომელთაც სახმელეთო საზღვარი აქვთ ინდოეთთან:

1. მოსკოვი; 2. დუშანბე; 3. ბეიჯინგი; 4. ულან-ბატორი; 5. თბილესი; 6. პნომპენი; 7. დაკა; 8. ყარაჩი; 9. იანგონი; 10. ისლამაბადი.

45. ჩამოთვლილთაგან რომელ ჯგუფშია სწორი მტკიცებულება - „ქვეყანა - მისი დედაქალაქი“:

ა) უკრაინა - მინსკი, სლოვენია - ბრატისლავა, გერმანია - ბონი; ბ) ბრაზილია - სან-პაულო, ეგვიპტე - კაირო, ერაყი - ბაღდადი; გ) ინდოეთი - დელი, ავსტრალია - სიდნეი, რუმინეთი - ბუქარესტი; დ) ესპანეთი - მადრიდი, პორტუგალია - ლისაბონი, სურინამი - პარამარიბო.

პასუხები:

1 - ბ; 2 - ა; 3 - ა; 4 - ბ; 5 - ბ; 6 - ა; 7 - ბ; 8 - ბ; 9 - დ; 10 - ა; 11 - ა; 12 - ა; 13 - ბ; 14 - დ; 15 - ა; 16 - გ; 17 - ა; 18 - ბ; 19 - ბ; 20 - გ; 21 - ბ; 22 - დ; 23 - დ; 24 - დ; 25 - ბ; 26 - დ; 27 - ა; 28 - ა; 29 - გ; 30 - ა; 31 - გ; 32 - დ; 33 - დ; 34 - ბ; 35 - ბ; 36 - ა; 37 - ა; 38 - გ 39 - ბდგ; 40 - ა-არა; ბ-არა; გ-კი; დ-კი; ე-არა; 41 - 1,2,3,4,5,6,7,9,10; 42 - 2,4,5,7,8,9; 43 - 2,4,5,8,9,10; 44 - 3,5,7,9,10; 45 - დ.

სასაბრტყიანო გამოცდა

ბიოლოგიის კვლევების დასახმარებლად



ელინა
ონაშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა
დოქტორი

ბუნებისმეტყველება I-VI კლასები, ბიოლოგია

ყველაფერი, რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, ბუნებაა, ადამიანიც ბუნების შემადგენელია.

ბუნებას შეისწავლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კომპლექსი, რომელთა ძირითადი პრინციპია მოვლენათა გამომწვევი მიზეზების ძიება და კვლევა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და მათი კვლევის საგანი:

ფიზიკა – მატერიის მოძრაობის თვისებები; **ასტრონომია** – ციური სხეულები და კოსმოსური მოვლენები; **ქიმია** – ნივთიერებათა აგებულება; **გეოგრაფია** – დედამიწის გეოგრაფიული გარემო; **ბიოლოგია** – სიცოცხლე და ცოცხალი ბუნება.

ცოცხალ სამყაროს ეკოლოგიის ბაქტერიები, მცენარეები, სოკოები, ცხოველები და ადამიანი. გარდამავალი ფორმა ცოცხალსა და არაცოცხალ სამყაროს შორის ვირუსებია, რომლებიც შედგება ცილებისა და ნუკლეინის მჟავებისაგან (დნმ – დეოქსირიბონუკლეინის მჟავა ან რნმ – რიბონუკლეინის მჟავა), მაგრამ ცხოველქმედებისათვის არ გააჩნია აუცილებელი სტრუქტურები, ამისათვის ისინი იყენებენ ცოცხალი ორგანიზმების უჯრედების სრულყოფილებას, რის გამოც ორგანიზმი ავადდება. სიტყვა „ვირუსი“ ლათინურია და ქართულად „შხამს“ ნიშნავს.

ცოცხალი მატერიის კრიტიკულობა

მკვეთრი ზღვრის გავლება ცოცხალ და არაცოცხალ მატერიას შორის შეუძლებელია, თუმცა არსებობს გარკვეული ნიშნები, რომლებიც მხოლოდ ცოცხალი მატერიისათვისაა დამახასიათებელი. ესენია:

კვება. საკვები ცოცხალი ორგანიზმებისათვის ენერჯის წყაროა. იგი წარმოადგენს საშენ მასალას და ხმარდება სხვა სასიცოცხლო პროცესებს. კვების მიხედვით ორგანიზმები იყოფა ავტოტროფებად და ჰეტეროტროფებად. ავტოტროფებია მწვანე მცენარეები და ქემოსინთეზის ბაქტერიები. ფოტოსინთეზის დროს მწვანე მცენარე მზის ენერჯის ხარჯზე არაორგანული ნივთიერებებისაგან – ნყლისაგან და ნახშირორჟანგისაგან წარმოქმნის ორგანულ ნივთიერებებს, რომლითაც იკვებება ჰეტეროტროფები. ქემოსინთეზის ბაქტერიები ენერჯიაზე მოთხოვნილებას არაორგანული ნივთიერებების ჟანგით ან აღდგენით იკმაყოფილებენ. მაგ; გოგირდის ბაქტერიები ჟანგავენ გოგირდის უარყოფით იონს.

ჰეტეროტროფებს მიეკუთვნება ბაქტერიები (ქემოსინთეზის გარდა), სოკოები, ცხოველები და ადამიანი. ისინი იყენებენ სხვა ორგანიზმების ორგანულ ნივთიერებებს. ფერმენტების საშუალებით შლიან მათ და ითვისებენ დაშლის პროდუქტებს.

სუნთქვა. ცხოველქმედების ყველა პროცესისათვის აუცილებელია ენერჯია, ამიტომ საკვები ნივთიერების უმეტესობა ენერჯის წყაროდ გამოიყენება. ენერჯია გამოიყოფა სუნთქვის პროცესში ენერჯით მდიდარი ორგანული ნივთიერებების დაჟანგვისას. ამ დროს გამოიყოფილი ენერჯია მარაგდება ატფ-ის მოლეკულაში, რომელიც აღმოჩენილია ყველა უჯრედში.

გალიზანებადობა. ყველა ცოცხალი არსება რეაგირებს გარე და შიგნით გარემოს ცვლილებაზე, რაც მის გადარჩენას უზრუნველყოფს. მაგ; ძუძუმწოვრების კანის სისხლძარღვები ფართოვდება სხეულის ტემპერატურის მომატებისას, რის გამოც სითბოს გაცემა ძლიერდება და სხეული ოპტიმალურ ტემპერატურას ინარჩუნებს. ფანჯრის რაფაზე დადგმული ქოთნის მცენარე გადაიხრება სინათლისაკენ, რადგანაც ფოტოსინთეზისათვის აუცილებელია გარკვეული განათება.

პედაგოგთა სასაბრტყიანო გამოცდების შედეგები ბიოლოგიაში (სხვა საბუნებისმეტყველო საგნების მსგავსად), რბილად რომ ვთქვათ, სასურველისაგან საკმაოდ შორსაა. 508 მონაწილიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა მხოლოდ 125-მა შეძლო. მათგან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 30,5%, I-VI კლასების პედაგოგებს ჰქონდათ; 24,6% – VIII-XII, ხოლო 7,4% – I-IV კლასების პედაგოგებს. გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით რთულად დასაძლევია აღმოჩნდა მათთვის. მართალია ისინი მოცემულია სახელმძღვანელოებში, მაგრამ სიღრ-

ვის აუცილებელია გარკვეული განათება.

მოდრაობა. მცენარეებისაგან განსხვავებით, საკვების მოსაპოვებლად, გადაადგილდებიან მხოლოდ ცხოველები. მცენარეებს ეს არ ესაჭიროებათ, რადგან იკვებებიან ფოტოსინთეზით, თუმცა ზოგიერთი ერთუჯრედიანი წყალმცენარე გადაადგილდება. მცენარეების მოძრაობა გამოიხატება მათ ზრდაში.

გამოყოფა. გამოყოფა, ანუ ექსკრეცია არის ორგანიზმის მიერ ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტების გამოდევნა. მაგ; სუნთქვისას გამოყოფილი ნახშირორჟანგის გამოყოფა. მტაცებელი ცხოველები მოხმარებენ ბევრ ცილას და რადგანაც ცილები მარაგის სახით არ ინახება, ამიტომ საჭიროა მათი დაშლა და გამოდევნა. ასეთი ცხოველები, ძირითადად, აზოტის შემცველ ნივთიერებებს გამოყოფენ.

ზრდა. ცოცხალი ორგანიზმები იზრდება საკვები ნივთიერებების ხარჯზე, რომელსაც იღებს ავტოტროფული ან ჰეტეროტროფული კვებით. ამ ნივთიერებათა ასიმილაციის შედეგად წარმოიქმნება ახლი ცოცხალი პროტოპლაზმა.

გამრავლება. სიცოცხლისათვის დამახასიათებელია გამრავლება, ანუ თვითწარმოქმნის უნარი, რომლიც განპირობებულია ნუკლეინის მჟავის – დნმ-ის (დეოქსირიბონუკლეინის მჟავა) მოლეკულაში კოდირებული მემკვიდრული ინფორმაციით. ეს ინფორმაცია გადაეცემა ერთი თაობიდან მეორეს. რნმ (რიბონუკლეინის მჟავა) შემცველ ვირუსებში ამ როლს ასრულებს რნმ. გამრავლება განპირობებს სიცოცხლის უწყვეტობას დედამიწაზე.

ზემოთ მოყვანილი მახასიათებლები განსხვავებს ცოცხალს არაცოცხალი მატერიისაგან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი სისტემებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ქიმიური შედგენილობის ერთიანობა. განსხვავებული ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის, ატომების დონეზე, არ არის. ისინი ერთი და იმავე ელემენტებისაგან შედგება, თუმცა ცოცხალი ორგანიზმები, ძირითადად, შეიცავს ოთხ ელემენტს – ნახშირბადს, წყალბადს, ჟანგბადს და აზოტს. განსხვავება ცოცხალსა და არაცოცხალს შორის მოლეკულურ დონეზე იწყება – ცოცხალში არის ცილები, ნახშირწყლები, ლიპიდები და ნუკლეინის მჟავები, რომლებიც არაცოცხალ ბუნებაში არ გვხვდება.

ცოცხალ სისტემებს მსგავსი სტრუქტურული ორგანიზაცია აქვს. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცოცხალი ორგანიზმის აგებულებისა და განვითარების ერთეული არის უჯრედი. ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმები მსგავსია აგებულებით, ქიმიური შედგენილობით, ნივთიერებათა ცვლის და ცხოველქმედების გამოვლენით.

ყველა ცოცხალი გარემოდან იღებს ნივთიერებასა და ენერჯიას და გარემოში გამოყოფს ენერჯიით ღარიბ ნივთიერებებს – დაჟანგვისა და დაშლის საბოლოო პროდუქტებს, ამიტომაც ყველა ცოცხალი წარმოადგენს ღია სისტემას. გარემოდან მიღებული ნივთიერებები ორგანიზმში განიცდის გარდაქმნათა რთულ ჯაჭვს, რომელსაც მეტაბოლიზმი ეწოდება. მეტაბოლიზმი, ანუ ნივთიერებათა ცვლა შედგება პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლებისაგან. პლასტიკური ცვლის რეაქციებით ხდება ორგანიზმის შენება და შედგენილობის განახლება. ენერგეტიკული ცვლის რეაქციები უზრუნველყოფს ორგანიზმს ენერჯიით.

ცოცხალ სისტემებს თვითრეგულაციის

უნარი აქვთ, რაც მუდმივად ცვლად გარემოში სტრუქტურისა და შინაგანი გარემოს მუდმივობის – ჰომეოსტაზის – შენარჩუნებას გულისხმობს. თვითრეგულაცია მიმართულია ჰომეოსტაზის შესანარჩუნებლად ცოცხალი სისტემების ორგანიზაციის ყველა დონეზე – მოლეკულიდან ბიოსფერომდე. ამით მკვეთრად განსხვავდება ცოცხალი არაცოცხალი საგან, რადგანაც არაცოცხალი მატერია ადვილად იშლება გარემოს მექანიკური და ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებით.

მემკვიდრეობა. ცოცხალი ორგანიზმების ზოგადი თვისებაა შეინარჩუნოს და შთამომავლობას გადასცეს წინაპრებისაგან მიღებული აგებულებისა და ფუნქციების თავისებურებანი. ეს ხორციელდება დნმ-ის მეშვეობით, რომელსაც აქვს უნიკალური თვისება – გაორმაგება, ანუ რეპლიკაცია. დნმ-ში არსებული ინფორმაციის მიხედვით ყალიბდება კონკრეტული ორგანიზმი, რომელშიც მისთვის დამახასიათებელი პროცესები მიდის. მემკვიდრეობის ერთეულია გენი – დნმ-ის მონაკვეთი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ერთი მოლეკულა ცილის პირველადი სტრუქტურის შესახებ.

ცვაობადობა ცოცხალი ორგანიზმის ზოგადი თვისებაა, შეიძინოს ახალი ნიშან-თვისებები, ე.ი. განსხვავებები ინდივიდებს შორის სახეობის ფარგლებში. იგი მემკვიდრეობის საპირისპირო მოვლენაა და განპირობებს ორგანიზმთა მრავალფეროვნებას.

ცოცხალი სისტემის

ორგანიზაციული დონეები

სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე ორგანიზმების – ინდივიდების სახითაა წარმოდგენილი. ორგანიზმი, თავის მხრივ, შეიცავს დაქვემდებარებულ (მაგ; მოლეკულურ, უჯრედულ) დონეებს, მეორე მხრივ, წარმოადგენს მაკროსისტემის (პოპულაცია, სახეობა, ეკოსისტემა) ერთეულს. სიცოცხლის ყველა დონე უნიკალური და მრავალფეროვანია.

მოლეკულური დონე სიცოცხლის ორგანიზაციის ყველაზე ძველი და უმდაბლესი დონეა. აქ გადის ზღვარი ცოცხალსა და არაცოცხალს შორის. ორგანული მოლეკულებით – ნახშირწყალი, ლიპიდი, ცილა დნმ, რნმ – ხორციელდება სასიცოცხლო პროცესები: ნივთიერებათა და ენერჯის ცვლა, გენეტიკური ინფორმაციის რეალიზება და მომდევნო თაობებში მისი გადაცემა და შენახვა. მოლეკულური დონე ზემდგომი საფეხურების საფუძველია და განსაზღვრავს მათ ხასიათს.

უჯრედული დონე. უჯრედი ყველა ორგანიზმის აგებულების, ფუნქციების, გამრავლებისა და განვითარების ერთეულია, ანუ სიცოცხლის ერთეული. ვირუსების – სიცოცხლის არაუჯრედული ფორმების – არსებობა ამ დებულებას ადასტურებს. ვირუსი სასიცოცხლო თვისებებს მხოლოდ მასპინძლის უჯრედში მოხვედრისას ახლენ.

ქსოვილური დონე. მრავალუჯრედიანი ორგანიზმები ქსოვილებისაგან შედგება, ქსოვილი ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა წარმოშობით, აგებულებითა და შესასრულებელი ფუნქციით მსგავსი უჯრედებისაგან. ქსოვილი ორგანიზმში კონკრეტულ სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებს.

ორგანული დონე. ორგანო რამდენიმე ქსოვილისაგან ფორმირდება. იგი სხეულის მეტ-ნაკლებად გამოკერძობული ნაწილია, აქვს განსაზღვრული ფორმა, აგებულება,

მდებარეობა და სპეციფიკური ფუნქცია. ორგანოები, რომლებიც ერთ კერძო ფუნქციას ემსახურება, ორგანოთა სისტემებს ქმნის.

ორგანიზმული დონე. ორგანიზმი ცოცხალი არსებაა, რომელსაც ცოცხალს ყველა თვისება აქვს და დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია. ორგანიზმის განვითარების პერიოდს, ჩასახვიდან სიკვდილამდე, **ონტოგენეზი** ეწოდება.

სახეობრივი (პოპულაციურ-სახეობრივი) დონე. სახეობა არის ინდივიდთა ერთობლიობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ თვისებურებათა მემკვიდრული მსგავსება, თავისუფალი შეჯვარება და ნაყოფიერი შთამომავლობის მოცემა, სიცოცხლის განსაზღვრულ პირობებთან შეგუება და ბუნებაში გარკვეული არეალის დაკავება. სახეობა ბუნებაში **პოპულაციების** სახით არსებობს.

ეკოსისტემური დონე. სხვადასხვა სახეობის პოპულაციებისა და მათი საარსებო გარემოს ურთიერთდამოკიდებულებით ყალიბდება მდგრადი დინამიური სისტემა – **ეკოსისტემა**, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობისა (ბიოცენოზი) და არაცოცხალი ბუნების კომპონენტებისაგან (ეკოტოპი) შედგება.

ბიოსფერული დონე. ბიოსფერო ყველა ეკოსისტემის ერთობლიობაა. ამ დონეზე განუწყვეტლივ მიმდინარეობს ენერჯის გარდაქმნა და ნივთიერებების ბიოლოგიური მიმოქცევა. ბიოსფერო ერთიანი გლობალური ეკოლოგიური სისტემა და დედამიწაზე ბინადარი ყველა ცოცხალის საარსებო სივრცეა.

1. დასახელებით ცოცხალი მატერიის ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ მოლეკულური დონე აქვს. პასუხი დასახელებით.

პასუხი: ვირუსები, რადგანაც მათ არ გააჩნია უჯრედული აგებულება და შედგება მხოლოდ ცილებისა და ნუკლეინის მჟავებისაგან.

2. სიცოცხლის ორგანიზაციის რომელ დონეებზე მოიცავს ამავე, კავკასიური ირემი, მგლების ხროვა? პასუხი დასახელებით.

პასუხი: ამავე მოიცავს მოლეკულურ, უჯრედულ და ორგანიზმულ სახეობრივ დონეებს, რადგანაც მისი უჯრედი შედგება ნახშირწყლების, ცილების, ლიპიდებისა და ნუკლეინის მჟავებისგან. იგი ერთუჯრედიანი ცხოველია, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს და ამიოტომაც ერთი ამავე ერთი ორგანიზმია. არსებობს ამების სხვადასხვა სახეობა, მაგ; მალარიის პლაზმოდია.

ირემი შეიცავს მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილურ, ორგანულ, ორგანიზმულ და სახეობრივ დონეებს. ირემი შედგება ზემოთ ჩამოთვლილი ორგანული ნივთიერებებისაგან, მრავალუჯრედიანი ორგანიზმია. სხვადასხვა უჯრედების ერთობლიობა ქმნის სხვადასხვა ქსოვილებს, რომლებითაც აგებულია ირემის ორგანოები და ორგანოთა სისტემები, მათი ერთობლიობა ქმნის ორგანიზმს და ბოლოს ერთი ინდივიდი მიეკუთვნება სახეობას – კავკასიური ირემი.

მგლების ხროვა მოიცავს მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილურ, ორგანულ, ორგანიზმულ, სახეობრივ-პოპულაციურ დონეებს (იხილეთ ირემი), აქ დაემატება ის, რომ ხროვაში გაერთიანებულია რამდენიმე ინდივიდი, რომლებიც ქმნის პოპულაციას.

საერთაშორისო კვლევა

მათემატიკა - მოსწავლეთა მიღწევები

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS)



ინა კუტალაქი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევისა და საბუნებისმეტყველო მენეჯერის ხელმძღვანელი

2007 და 2011 წლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევაში (TIMSS). ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი შედარებითი კვლევა მთელ მსოფლიოში, რომლის მიზანია მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ხელშეწყობა. კვლევას საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) უძღვეს.

დღესდღეობით, ხარისხიანი და თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება, საზოგადოებაში მოსწავლის წარმატების უზრუნველყოფის ფაქტორს წარმოადგენს. ტექნოლოგიური ინოვაციებისა და მათემატიკის გამოყენების ფართოდ გავრცელების შედეგად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათემატიკაში მოსწავლეთა მიღწევებს. მათემატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭო მიიჩნევს, რომ მათემატიკის ცოდნა მოსწავლეებს კოლეჯსა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების, უკეთესი სამსახურის შოვნისა და უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების საშუალებას აძლევს (NCTM, 2000). მათემატიკა, ფაქტობრივად, მოსწავლეთა „კრიტიკული ფილტრი“ გახდა, რადგან მათემატიკაში არაადეკვატური მომზადება ზღუდავს მათ კარიერულ არჩევანს. მათემატიკაში განაფულობის დიდი მნიშვნელობა კვლევითი უსვამს ხაზს ნებისმიერი მოსწავლისათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის აუცილებლობას (Dundas, 2009).

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის ფარგლებში შეფასდა მე-4 და მე-8 კლასელ მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკაში. საქართველოდან კვლევაში ჩართული იყო თბილისისა და საქართველოს რეგიონების - აჭარის, გურის, იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის სკოლები, სულ კვლევაში 10 000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

TIMSS-ის შედეგების მიხედვით, როგორც მეოთხე, ისე მერვე კლასის დონეზე, კვლევაში ტრადიციულად ლიდერობენ აზიური ქვეყნები: სინგაპური, კორეა, ჰონკონგი, ტაივანი და აშშ-სა.

TIMSS-ის შედეგებით, კროსკულტურული კვლევა. იმისათვის, რომ კვლევაში მონაწილე ქვეყნების შედეგები ერთმანეთთან შედარებადი იყოს, მონაცემები ერთ, საერთო სკალაზეა განთავსებული. მოსწავლეთა მიღწევების მაჩვენებლები მოცემულია TIMSS-ის სკალაზე, რომლის დიაპაზონიც 0-1000 წარმოადგენს (მოსწავლეთა მიღწევები ძირითადად 300-დან 700 ქულამდე ვარიირებს). TIMSS-ის სტანდარტული სკალის ცენტრალურ მნიშვნელობად აღებულია 500, სტანდარტული გადახრა კი 100-ის ტოლია. კვლევაში მონაწილე ქვეყნებს პროგრესის შეფასების საშუალება რომ ჰქონდეთ, სტანდარტული სკალის ეს მაჩვენებლები უცვლელი რჩება შეფასების ყველა ციკლში.

ქართულ მოსწავლეთა TIMSS-ის სტანდარტული სკალის ცენტრალურ მნიშვნელობაზე დაბალი მიღწევები აქვთ როგორც მე-4, ისე მე-8 კლასში. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიღწევები 450-ია (სტანდარტული შეცდომა (SE) = 3.7), მერვეკლასელთა საშუალო მაჩვენებელი კი 431-ია (SE = 3.8). ქართველი ბავშვების მიღწევები ორივე შემთხვევაში სტატისტიკურად არსებითად ჩამორჩება საერთაშორისო სკალის ცენტრალურ მაჩვენებელს.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიღწევების მიხედვით, საქართველომ მე-40 ადგილი დაიკავა კვლევაში მონაწილე 50 ქვეყანას შორის (მონაწილე ქვეყნების 80%-ს საქართველოზე უკეთესი შედეგი აქვს). მერვეკლასელთა შედეგების მიხედვით - 27-ე ადგილი 42 მონაწილე ქვეყანას შორის (მონაწილე ქვეყნების 64%-ს საქართველოზე უკეთესი შედეგი აქვს).

საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომელთაც თავიანთი შედეგი 2007 წლის შედეგებთან შედარებით გააუმჯობესეს, როგორც მეოთხე, ისე მე-8 კლასში, თუმცა 2011 წელსაც ქართველი ბავშვების მიღწევები სტატისტიკურად არსებითად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს.

მეოთხეკლასელთა შედეგების მიხედვით, მონაწილე 50 ქვეყნიდან საქართველო მოხვედა იმ 12 ქვეყანას (10 ქვეყანა, 2 რეგიონი) შორის, რომელთაც თავიანთი შედეგი 2007 წლის შედეგებთან შედარებით არსებითად გააუმჯობესეს. 2007 წლის მონაცემებთან შედარებით, კვლევაში მონაწილე არც ერთ ქვეყანას არსებითად თავისი შედეგი არ გაუმჯობესებია. მერვეკლასელთა შედეგების მიხედვით, საქართველო მოხვედა იმ 10 ქვეყანას შორის (ერთ-ერთი რეგიონული ერთეულია), რომელთაც თავიანთი შედეგი 2007 წლის შედეგებთან შედარებით სტატისტიკურად არსებითად გააუმჯობესეს. მაშინ, როდესაც 6-მა ქვეყანამ, 2007 წლის მონაცემებთან შედარებით, თავისი შედეგი გააუმჯობესა.

მეოთხეკლასელთა შედეგების მიხედვით, იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც, 2007 წელს შედარებით, შედეგები გააუმჯობესეს, ყველაზე მნიშვნელოვანი წინსვლა აქვთ ტუნისსა (32 ერთეული) და ირანის ისლამურ რესპუბლიკას (28 ერთეული), თუმცა ორივე ქვეყანა მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილი რეიტინგული სიის ბოლო მეოთხედშია და მათ საქართველოზე დაბალი შედეგი აქვთ. საქართველომ თავისი შედეგი გააუმჯობესა 12 ქულით, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესების ტენდენცია გამოკვეთილია, რაც თავისთავად ძალიან პოზიტიურია, გაუმჯობესების „ტემპი“ დაბალია. მერვეკლასელთა შედეგების მიხედვით, ყველაზე მეკეთესოდ თავისი შედეგი გააუმჯობესა პალესტინამ (37 ერთეული) და რუსეთის ფედერაციამ (27 ერთეული), რომელსაც წინა კვლევაშიც მაღალი მიღწევები ჰქონდა. საქართველოს შედეგის გაუმჯობესების ტენდენცია მერვე კლასში უფრო გამოკვეთილია, ვიდრე მეოთხეკლასელების შემთხვევაში და შეადგენს 22 ერთეულს (ქულას), თუმცა, თუ საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს შევადარებთ, მეოთხეკლასელების შედეგი უფრო მაღალია, ვიდრე მერვეკლასელების.

ქართველ მეოთხეკლასელებს უფრო კარგი მიღწევები აქვთ რიცხვებთან დაკავშირებული ამოცანების გადამწყვეტაში, ვიდრე გეომეტრიასა და მონაცემთა გამოსახვაში; თუმცა, სამივე სფეროში მეოთხეკლასელთა მიღწევები ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს შედარებით, 2011 წელს ქართველი მეოთხეკლასელი მოსწავლეთა საშუალო მიღწევა სამივე სფეროში გაუმჯობესდა, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ძველ და ახალ შედეგებს შორის მხოლოდ ორ სფეროში, გეომეტრიულ ფიგურებისა და გაზომვების და მონაცემების გამოსახვის სფეროებში დაფიქსირდა.

მერვეკლასელებს უფრო კარგი მიღწევები აქვთ ალგებრული და რიცხვებთან დაკავშირებული ამოცანების გადამწყვეტაში, ვიდრე გეომეტრიაში და მონაცემებსა და ალბათობაში. მერვეკლასელთა მიღწევები მათემატიკის ყველა სფეროში მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს.

2007 წელს შედარებით, 2011 წელს მერვეკლასელთა საშუალო მიღწევა სამ სფეროში (რიცხვები, ალგებრა, მონაცემების გამოსახვა და ალბათობა) სტატისტიკურად არსებითად გაუმჯობესდა. თითოეული შინაარსობრივი სფეროს საშუალო შედეგის შედარება საქართველოს საერთო საშუალო მაჩვენებელთან. მერვეკლასელების არასახარბიელო შედეგს მათემატიკაში თანაბრად განაპირობებს ქართველი მოსწავლეთა დაბალი მიღწევები გეომეტრიაში, მონაცემებისა და ალბათობის საკითხებში.

TIMSS-ში მათემატიკის მიღწევები სამი კოგნიტიური სფეროს (ცოდნა, გამოყენება და მსჯელობა) მიხედვით ფასდება. 2007 წელს

შედარებით, 2011 წელს მეოთხე კლასის მოსწავლეთა 17 ერთეულით გააუმჯობესეს საკუთარი შედეგი გამოყენების კოგნიტიურ სფეროში, 18 ერთეულით კი - მსჯელობაში. ორივე შემთხვევაში განსხვავება სტატისტიკურად არსებითია. გაუმჯობესების ტენდენცია შეიმჩნევა ცოდნის სფეროშიც (4 ერთეული). 2007 წელს შედარებით, 2011 წელს შედეგები სტატისტიკურად არსებითად გააუმჯობესეს მერვე კლასის მოსწავლეთა ცოდნის, მეოთხეკლასელებთან შედარებით, მერვეკლასელთა მიღწევა სამივე სფეროში უფრო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (ცოდნა - 19 ერთეულით, გამოყენება - 26, მსჯელობა - 30).

მიღწევების საფეხურები. TIMSS-ის კვლევაში გამოყოფილია მოსწავლეთა მიღწევების 4 საფეხური: უმაღლესი საფეხური, მაღალი საფეხური, საშუალო საფეხური, დაბალი საფეხური.

ქართველი მეოთხეკლასელების მხოლოდ 2%-მა დაძლია TIMSS-ის საერთაშორისო სკალის უმაღლესი საფეხური, მოსწავლეთა 28% კი აღმოჩნდა მიღწევების საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეთა 28%-ს დაბალი საფეხურისთვის განსაზღვრული მარტივი დავალებების გადაწყვეტაც კი გაუჭირდათ. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წელს 2007-თან შედარებით 5%-ით შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ძლევდნენ დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებსაც კი.

კვლევაში მონაწილე პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით ჩვენი შედეგი ასეთია: რუსეთის ფედერაციასა და ლიტვას აქვს არსებითად უკეთესი შედეგი - რუსეთის ფედერაციაში მოსწავლეთა 13%-მა დაძლია მიღწევების უმაღლესი საფეხური და მოსწავლეთა მხოლოდ 3% ვერ ძლევს დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს; ლიტვაში უმაღლესი საფეხური დაძლია მოსწავლეთა 10%-მა, 4%-ს გაუჭირდა დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილი დავალებების დაძლიება. საქართველოზე უკეთესი შედეგი აჩვენებს ყაზახეთმა (უმაღლესი საფეხური - 7%, დაბალი საფეხურის მიღმა - 12%) და აზერბაიჯანმა (უმაღლესი საფეხური - 5%, დაბალი საფეხურის მიღმა - 28%).

მერვეკლასელების მონაცემები მიღწევების საერთაშორისო საფეხურების მიხედვით ასეთია: უმაღლესი საფეხური დაძლია მოსწავლეთა 3%-მა; მაღალი საფეხური - 13%-მა; საშუალო საფეხური - 36%-მა; დაბალი საფეხური კი 62%-მა.

მოსწავლეთა 38% აღმოჩნდა მიღწევების საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ, ანუ მათ დაბალი საფეხურისთვის განსაზღვრული მარტივი დავალებების გადაწყვეტაც კი გაუჭირდათ.

2011 წელს 2007-თან შედარებით მე-8 კლასის მოსწავლეთა მიღწევა ყველა დონეზე გაუმჯობესდა და ეს სხვაობა ყველა შემთხვევაში სტატისტიკურად არსებითია.

კვლევაში მონაწილე პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით ჩვენი შედეგი ასეთია: რუსეთის ფედერაციას აქვს არსებითად უკეთესი შედეგი - მოსწავლეთა 14%-მა დაძლია მიღწევების უმაღლესი საფეხური, და მოსწავლეთა მხოლოდ 5% ვერ ძლევს დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს; ლიტვასა და უკრაინაში უმაღლესი საფეხური დაძლია მოსწავლეთა 5%-მა, თუმცა უკრაინაში უფრო დიდია იმ მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა, რომელთაც გაუჭირდა დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილი დავალებების დაძლიება (უკრაინა - 19%, ლიტვა - 10%). უმაღლესი საფეხური ყაზახეთში, სომხეთსა და საქართველოში 3%-მა დაძლია, თუმცა საქართველოში დაბალი საფეხურის დაძლიება არსებითად მეტ მოსწავლეს გაუჭირდა, ვიდრე ყაზახეთსა და სომხეთში (ყაზახეთი - 15%, სომხეთი - 24%, საქართველო - 38%). ამ თვალსაზრისით, ყაზახეთმა და სომხეთმა საქართველოზე უკეთესი შედეგი აჩვენეს.

გოგონები და ბიჭები. TIMSS 2011-ის მონაცემების მიხედვით მონაწილე ქვეყანათა დიდ ნაწილში მეოთხეკლასელ ბიჭებს გოგონებთან შედარებით უკეთესი შედეგი აქვთ. საქართველოს მონაცემების მიხედვით მე-4 კლასში მათემატიკაში გოგონების მცირე უპირატესობა, მე-8 კლასში კი პირიქით, ბიჭების უპირატესობა იკვეთება, თუმცა ორივე შემთხვევაში განსხვავება სტატისტიკურად არ არის არსებითი და ეს განსხვავება შერჩევის შემთხვევითობითაც შეიძლება აიხსნას.

სკოლები. საქართველოში არსებითად ჭარბობს იმ სკოლების რაოდენობა, რომელთა საშუალო მიღწევა საერთაშორისო სკალის რეზულტატზე დაბალია. საშუალოზე მაღალი მაჩვენებლით პროცენტულად ყველაზე მეტი სკოლა არის თბილისში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

საქართველოს 173 სკოლიდან 93 სკოლას ჰყავს 25% ან მეტი მეოთხეკლასელი მოსწავლე საერთაშორისო მიღწევების სკალის დაბალ საფეხურზე ქვემოთ.

საქართველოს 172 სკოლიდან 117 სკოლას ჰყავს 25% ან მეტი მერვეკლასელი მოსწავლეთა საერთაშორისო მიღწევების სკალის დაბალ საფეხურზე ქვემოთ.

ქალაქი, სოფელი. ისევე როგორც TIMSS 2007 წლის კვლევაში, TIMSS 2011-შიც მათემატიკაში მიღწევებით სოფლის მოსწავლეები არსებითად ჩამორჩებიან ქალაქში მცხოვრებ თანატოლებს; ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეებს, როგორც მე-4, ასევე მე-8 კლასში, აქვთ უკეთესი შედეგი სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებთან შედარებით.

2007 წელს შედარებით 2011 წელს, როგორც მე-4, ასევე მე-8 კლასში გაიზარდა განსხვავება ქალაქისა და სოფლის მოსწავლეთა მიღწევებს შორის. მათემატიკის შინაარსობრივი და კოგნიტიური სფეროების მიხედვით შედეგების ანალიზი გამოკვეთს ერთ ტენდენციას: 2007 წელს შედარებით, 2011 წელს უმეტეს შემთხვევაში ქალაქში მცხოვრები მოსწავლეთა მიღწევები გაუმჯობესდა, სოფლად მცხოვრები მოსწავლეთა მიღწევები კი პირიქით, გაუარესდა.

ეს შედეგი გამოკვეთს საქართველოში განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემას და ნამდვილად იძლევა დაფიქრების საბაზს საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსწავლეთა საგანმანათლებლო პერსპექტივების შესახებ, როგორც ამ ეტაპზე, ისე სამომავლოდ.

კერძო და საჯარო სკოლები. მათემატიკაში მიღწევებით საჯარო სკოლის მოსწავლეები არსებითად ჩამორჩებიან მათ თანატოლებს, რომლებიც კერძო სკოლებში სწავლებენ; სხვაობა მეოთხე კლასში 64 ქულას, ხოლო მერვე კლასში 98 ქულას შეადგენს. ეს სხვაობა სტატისტიკურად უფრო არსებითია, ვიდრე სოფლისა და ქალაქის სკოლების მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავება.

კერძო სკოლის მოსწავლეთა მიღწევები უპირატესობა აქვთ ცოდნის, გამოყენებისა და მსჯელობის კომპონენტებშიც. საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი უფრო მკაფიოდ გამოკვეთს საქართველოში განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემას.

მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი TIMSS საერთაშორისო მიღწევების საფეხურების მიხედვით, ცხადყოფს, რომ კერძო სკოლებში არსებითად მეტია იმ მე-4 და მე-8 კლასების მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც დაძლიეს მიღწევების მაღალი და უმაღლესი საფეხურები. ამასთან, საჯარო სკოლებში არსებითად მეტია იმ მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა, რომელთაც ვერ დაძლიეს მიღწევების დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილი დავალებებიც კი.

ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც კვლევაში გამოკვეთა ასეთია: დაწყებითი საფეხურიდან (მე-4 კლასი) საბაზო საფეხურამდე (მე-8 კლასი) შეიმჩნევა მოსწავლეთა მიღწევების გაუარესების ტენდენცია.

* * *

ჩვენ მოკლედ წარმოვიდგინეთ ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მათემატიკაში. მომდევნო ნომერში მოგვანდით ინფორმაციას იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

ინფორმაცია

დვანისა და ტახტიძის საჯარო სკოლებში სტუმრობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები სოფლების დვანისა და ტახტიძის საჯარო სკოლებში ჩავიდნენ. ადმინისტრაციულ საზღვართან დროებითი გამოყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლებში სამინისტროს წარმომადგენელთა წინა ვიზიტებისას გამოიკვეთა სკოლებში სატელეფონო და ინტერნეტკომუნიკაციის პრობლემა, რაც გამოწვეულია დროებითი გამოყოფი ხაზის მიღმა არსებული მალაქსი-შირიანი ანტენების ზემოქმედებით. სამინისტრომ ოპერატიულად მოახდინა რეაგირება და გადაწყდა, რომ დროებითი გამოყოფი ხაზის მიმდებარე სკოლებში ძლიერი მოდემი დამონტაჟდებოდა. პროექტს „მაგთი-კომი“ ეტაპობრივად განახორციე-



ლებს. შედეგად კი, აღნიშნულ სკოლებში ინტერნეტის სიჩქარე ოთხჯერ მაინც გაიზარდა. ამასთან, სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (Emis) უზ-

რუნველყოფს სკოლებში ახალი, უკაბელო (WiFi) ქსელის დამონტაჟებას, ასევე VoIP ტელეფონების ინსტალაციას, რომელიც სკოლებს საგანმანათლებლო სისტემის სატელეფონო ქსელთან საიმედო და უწყვეტი კავშირის განხორციელების საშუალებას მისცემს.

დანყებასთან დაკავშირებით, თამარ სანიკიძემ განცხადება სოფელ დვანის საჯარო სკოლიდან გააკეთა და დროებითი გამოყოფი ხაზის-პირა სოფლების სკოლების მოსწავლეებს მოუწოდა ჩაერთონ

სასკოლო ბლოგების კონკურსში თემაზე „გაიცანით ჩემი რაიონი“. კონკურსი ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ ლოკალური გარემოს შესწავლაზე და მათი რაიონის/სოფლის/ქალაქის დადებითი მხარეების წარმოჩენასა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაზე, ასევე სხვადასხვა საგანში შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებაზე. მოსწავლეებმა მოკვლევითი ინფორმაცია სტრუქტურირებულად უნდა წარმოადგინონ ბლოგის სახით (ინფორმაცია იხილეთ სამინისტროს ვებგვერდზე mes.gov.ge). მინისტრმა სოფლების – დვანისა და ტახტიძის – საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებს საჩუქრად კომპიუტერები გადასცა და მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სოფლის მოსახლეობას სამინისტროს ახალი ინიციატივები გააცნო, ასევე მოსმინა მათი წინადადებები.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით, ინფორმაციის გაცვლის კუთხით, სკოლებთან მჭიდრო და შეუფერხებელი კომუნიკაცია სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. აღსანიშნავია, რომ დროებითი გამოყოფი ხაზის მიმდებარე სკოლების მოსწავლეებს აქამდე არ ჰქონდათ შესაძლებლობა სრულფასოვნად ჩართულიყვნენ ისეთ სასკოლო კონკურსებში, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება აუცილებლობას წარმოადგენდა. ერთ-ერთი ასეთი კონკურსის



ახალი პროექტები ინკლუზიურ განათლებაში

2013 წლიდან, ინკლუზიური განათლების მიმართულებით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ერთ-ერთი ასეთი პროექტია უსინათლო ბავშვებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 50 წლის შემდეგ პირველად, უსინათლო მოსწავლეებისათვის სპეციალური სასკოლო სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა. 2013 წელს, ასევე პირველად, საქართველოს მასშტაბით, არსებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა 8 სკოლა-პანსიონის მასწავლებლებს ხელფასი გაეზარდა. ასევე, წელს, ყველა საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, დამატებითი პერსონალი – სპეცმასწავლებელი დაინიშნა, რომელსაც სამინისტრო აფინანსებს. უსინათლო და სუსტადმხედველი მოსწავლეებისათვის პანსიონურ მომსახურებას, საქართველოს მასშტაბით, ერთადერთი – თბილისის 202-ე საჯარო სკოლა ახორციელებს. სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** ეწვია და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდა. მინისტრი მათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა და პირადად გა-

ეცნო მათ საჭიროებებს. 202-ე საჯარო სკოლაში, დღეისათვის, 49 მოსწავლე ირიცხება. პანსიონში სწავლება მიმდინარეობს როგორც ჩვეულებრივი, ისე ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი სახელმძღვანელოებით. ვინაიდან ბავშვებს მრავალი წლის მანძილზე არ გააჩნდათ ბრაილით ნაბეჭდი სახელმძღვანელოები, აღმზრდელებს უხდებოდათ უსინათლო მოსწავლეებისათვის ტექსტების კითხვა და ამ ფორმით ეხმარებოდნენ მათ განათლების მიღებაში. წელს სკოლას ხუთი მეთორმეტკლასელი ჰყავს, ისინი საატესტატო გამოცდებში მონაწილეობენ. ამ სკოლის კურსდამთავრებულები ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ყოველწლიურად, წარმატებით აბარებენ. მათთვის საგამოცდო მასალა ბრაილის შრიფტზეა ადაპტირებული.

სკოლის ბიბლიოთეკარის სტანდარტი შეიქმნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა ბიბლიოთეკარის სტანდარტი, განკუთვნილი როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების ბიბლიოთეკარებისთვის. სკოლის ბიბლიოთეკარის სტანდარტის პრეზენტაცია სამინისტროში შედგა. საზოგადოებას ახალი სტანდარტი ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა **ნათია ჯოსხაძემ** წარუდგინა. ამ დრომდე, საქართველოს განათლების სისტემაში არ არ-

სებობდა დოკუმენტი, რომელშიც, ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით, ასახული იქნებოდა საერთაშორისო გამოცდილება და რომელიც შესაფერისად ქვეყანაში მომუშავე ბიბლიოთეკარებს ერთიან პროფესიულ სტანდარტს. საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარის სტანდარტი განსაზღვრავს სკოლის ბიბლიოთეკარის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ღირებულებებს და ვალდებულებებს, რომლებიც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებას. სტანდარტი მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული სტანდარტის შექმნაში 3 მონაწილე ექსპერტი მონაწილეობდა: **ირაკლი ღარიბაშვილი** – ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი; **თინათინ ლომჯარია** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **თამარ ხოსრუაშვილი** – დიუმას ცენტრის მედიათეკის დირექტორი. ექსპერტების მიერ შექმნილი პირველადი ტექსტი განხილულ იქნა როგორც ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტში, აგრეთვე სკოლების მოქმედ ბიბლიოთეკარებთან. დაინტერესებულ მხარეთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები აისახა სტანდარტის ტექსტის საბოლოო ვარიანტში. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, თბილისის საჯარო სკოლების დირექტორები და ბიბლიოთეკარები, განათლების სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ბთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საათმეცნიერო გამოცდის მოთხოვნებს.

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ ბალიტაშვილი,
ამირან გომარეთელი

თითოეული კრებულის ფასი – **10** ლარი

კრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

- ◆ კრებულებაში ნახვით თითქმის ყველა საგარეულო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპრობლემო ტიპის ტესტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გაქვებათ ნაწარმოებთან იდეალურ-მსაბუნებრივი ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებათ დაკლით ყველა საგამოცდო სიტუაცია.

სპორტი

სტუ სტუდენტურ ლიგაში

ქართული კალათბურთი მორიგ საერთაშორისო პროექტში ჩაერთო, ამჯერად – სტუდენტური კალათბურთი, რომელიც საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში ჩაება. ამ ორგანიზაციის პარტნიორი, საქართველოს მხრიდან, ახლანდელ შემთხვევაში „კალათბურთელთა კავშირი“ და სწორედ მისი მეშვეობით ჩაერთო ლიგაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდი, რომელსაც ახლო წარსულში ცნობილი სპორტსმენი ნიკოლოზ დერიუგინი წვრთნის.

სტუდენტურმა ლიგამ სტარტი შარშან აიღო, ის ერთგვარ შუალედურ რგოლად ჩაფიქრებული. „სკოლის კალათბურთის შემდეგ ძალუხუნებურად ისმის კითხვა – სად ითამაშონ მათ, ვინც პროფესიულ კლუბებში ვერ მოხვდნენ? სწორედ ეს ლიგა შეასრულებს საშუალოდ რგოლის ფუნქციას, აქ დაინაურებულ სპორტსმენებს კი დიდი კალათბურთისკენაც გაეხსნება გზა“ – განაცხადა საკალათბურთო ლიგის პრეზიდენტმა ანდრე პერეგულოვმა.

– „სიმბოლურია, რომ საერთაშორისო საკალათბურთო სტუდენტური ლიგის გახსნა გაიმართება მუდამ ძველსა და ახალგაზრდა ქალაქ თბილისში. თქვენი ქალაქი ლიგის გახსნის მატჩის მასპინძლად შემთხვევით არ აგვირჩევია – საქართველოს ისტორიული წარსული საკალათბურთო ტრადიციებითაც გამოირჩეულია. დარწმუნებული ვარ, ლიგაში ქართული გუნდის ჩართვა ჩემპიონატს დამატებით ხიბლს, ემოციას შესძენს“ – განაცხადა მოგვიანებით პერეგულოვმა. ხოლო გახსნის მატჩზე, ვეტერანთა თამაშზე ჩამოსულმა მოსკოველმა ვიტორ კრავჩენკომ შემდეგი გახსენა: „ქართველებს მოედანზე ყოველთვის ერთი მოთამაშით მეტი ჰყავდათ და ის

„ზედმეტი“ კალათბურთელი სწორედ მაყურებელი იყო“.

გასულ კვირას სტუ-მ უკვე გამართა ორი მატჩი ჩვენთვის ამ ახალი შეჯიბრების ეგიდით – ჯერ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს უმასპინძლეს, მერე – როსტოვის სამხრეთის ფედერალური უნივერსიტეტის გუნდთან. გახსნილმა თამაშმა მოსკოველებთან სრული ანჟლიატი ჩაიარა და სტუმრები გაკვირვებული დარჩნენ გადაჭედული ტრიბუნებით. პერეგულოვმა მატჩის შემდეგ სიახლოვებით აღნიშნა ეს ფაქტი და თქვა, რომ მართლაც სწორი გადაწყვეტილება იყო, გახსნის თამაში თბილისში რომ დანიშნეს. სამწუხაროდ, მოთამაშებმა ქომაგები იმედი ბოლომდე ვერ გაუმართლეს და შეხვედრა 75:83 დათმეს. არადა, თავიდან მასპინძლები დაინაურდნენ და ლამის დიდ შესვენებამდე ინარჩუნებდნენ კიდევ უპირატესობას, თუმცა მეორე პერიოდის ბოლოს ანგარიში მაინც გაათანაბრეს – 34:34. ჩვენებმა ფარქვეშ სიმალეში უპირატესობა კარგად გამოიყენეს, მაგრამ თავი იჩინა მთავარმა სენმა – ახალშეკრებილ კოლექტივს შეთამაშება აკლდა, რის გამოც დაცვაში გვარიანი ბზარები ჰქონდა. მეტოქემ სწორედ ეს გამოიყენა წარმატებით, მაგრამ ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის დეფიციტის მიუხედავად, მასპინძლებმა მესამე პერიოდში თანაბარ ბრძოლაში ჩაატარეს და ანგარიში კვლავ საყაიმო იყო, მეოთხეში კი ჩვენს სისუსტეს დადლაც დაემატა. მეტოქემაც საბოლოოდ მაშინ გატეხა ტექნიკოსთა ნინაღმდეგობა.

ეტყობა, ჩვენებმა გაითვალისწინეს ამ თამაშში დაშვებული შეცდომები, შეთამაშებაც შედარებით მოასწრეს და როსტოველებთან ორთაბრძოლა ბევრად უკეთ ჩაატარეს –



90:71. თუმცა ისიც სათქმელია, რომ როსტოველები სიძლიერით ჩამოუვარდებიან მოსკოველებს, ოღონდ პროგრესი ჩვენებსაც ეტყობოდათ.

მესამე შეხვედრას სტუ 27 ოქტომბერს ხარკოვში ჩაატარებს ადგილობრივ სტუდენტებთან. როგორც არ უნდა დასრულდეს ამ

ლიგაში გამოსვლა, მასში ჩართვამ კიდევ ერთი დადებითი, ბევრად გლობალური ნაბიჯი უკვე მოიტანა – შეიქმნა საქართველოს სტუდენტური ლიგა, რაც დიდი შენაძინა ქართული კალათბურთისთვის, რადგან იქაც ის მოთამაშეები იასპარეზებენ, რომლებიც პროფესიულ კლუბებში ვერ ხვდებიან.

„კნაუფი“ თბილისის ჩემპიონია

დასრულდა თბილისის პირველობა 16-წლამდელ კალათბურთელთა შორის, რომელმაც დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლაში ჩაიარა, ფინალში თამაშის უფლება „კნაუფ-აკადემიამ“ და „დინამომ“ მოიპოვეს. ნახევარფინალში შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი დაამარცხეს, ოღონდ ფრიად დაძაბულ პაექრობაში. ამ თამაშის ბედი მხოლოდ ბოლო წუთებზე გადაწყდა, როცა გამარჯვებულმა დიდი შემართება გამოიჩინა და საწაღელსაც მიაღწია – 74:67. დინამოელებმა ბევრად უფრო იოლად დაჯაბნეს I ექსპერიმენტული სკოლის გუნდი „ჰიუნდაი“ – 57:40.

სამაგიეროდ, „დინამო“ ფინალურ პაექრობაში დაიჩაგრა – მოედანზე მხოლოდ „კნაუფი“ ჩანდა. მისი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მესამე პერიოდის ბოლოს უკვე 27



ქულით დაინაურდა და თამაშის ბედიც იქ გადაწყდა, თუმცა, შეხვედრის მიმდინარეობიდან გამომდინარე, გამარჯვებულის ვინაობა საეჭვო არც მანამდე ყოფილა. საბოლოოდ გია კახანჯიანისა და ვახილ სომხიშვილის განვრთნილმა „კნაუფ-აკადემიამ“ შეხვედრა დიდი სხვაობით – 91:47 მოიგო და თბილისის ჩემპიონი გახდა. გამარჯვებულთა შორის, 19 ქულით და 4-4 მოხსნა-პასით, დავით აფხაზავა გამოირჩა, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს, ბომბარდირი კი „ზაზა-1“-ის მოთამაშე რატი ტოლიაშვილი გახდა.

მესამე ადგილზე „შსს-აკადემია“ გავიდა, რომელმაც ბრინჯაოსთვის შეხვედრაში „ჰიუნდაი“ 72:57 დაამარცხა. მედალოსნების გარდა, გაირკვა იმ 10 გუნდის ვინაობაც, რომლებიც საქართველოს თანატოლთა ჩემპიონატში ითამაშებენ.

უმედლოდ დარჩნენ

ჩერნოგორიულ ბუდვამი ჩატარდა ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც საქართველო გვარიანი რაზმით იყო წარმოდგენილი – 27 სპორტსმენით. სამწუხაროდ, ჩვენები უჩვეულოდ წარუმატებლად გამოვიდნენ და უმედლოდ დარჩნენ. კვარცხლბეკთან ყველაზე ახლოს 18-წლამდელ გოგონათა ტურნირში მოასპარეზე ნატო იმნაძე და ანა კუჭავა მივიდნენ, მაგრამ 6-6 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილებზე გავიდნენ.

ქართულ-აზერბაიჯანული ახალგაზრდული ფორუმი

16-19 ოქტომბერს სიღნაღა ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ერთობლივ დიდ ფესტივალს უმასპინძლა, რომლის ინიციატორი ქართული მხარე იყო – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. ფესტივალში 100 ქართველი და ამდენივე აზერბაიჯანელი ახალგაზრდა მონაწილეობდა, საპატრიო სტუმართა შორის სპორტის ქართველი მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი ბაქოელი კოლეგა ინთიგამ ბაბაევი იყვნენ.


ფესტივალის პროგრამაში, სპორტულ ასპარეზობებთან ერთად, კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებებიც შედიოდა: ქუჩის კალათბურთი, მეკლდეურობა, მკლდეჭიდი, ბერიკების წარმოდგენა, ხელნაკეთი ნივთების, ფოტოების გამოფენა... დიდი ადგილი ეთმობოდა ეროვნული უმცირესობების წარმომჩენას, ნაციონალური კულინარიის გაცნობას, წარმოდგენილი იყო პანტომიმისა და შაფაროსნების გამოსვლები. აბა, კახეთში ღვინის დაწურვისა და რთველის



გარეშე როგორ იქნებოდა... ცხადია, ასეთი ღონისძიებები, გამარჯვებულთა გამოვლენაზე მეტად, გაცნობას, ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოებას ითვალისწინებს. სიღნაღშიც ასე იყო იმ სამი დღის განმავლობაში, თუმცა სპორტულ შეჯიბრებებს არც აზარტი დაკლებია. ფესტივალის ფარგლებში, გაიმართა ასევე გაცნობითი ხასიათის შეხვედრები სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივით, ორივე მხარის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სტუდენტურ თვითმმართველობებს შორის. თუმცა, ამ შეხვედრის მთავარი მიღწევა ორ მხარეს შორის გაფორმებული სამომავლო ურთიერთობის მემორანდუმი იყო, რომელიც ახალგაზრდებთან დაკავშირებული ერთობლივი პროგრამების განხორციელებაში ორმხრივი გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს. უკეთ კოორდინირების მიზნით კი, გაისად ორივე ქვეყნის სპორტის სამინისტროს დელეგაცია ეწვევა ერთმანეთს. ამავე მემორანდუმის თანახმად, ორივე ქვეყანაში მოენწყობა ახალგაზრდული ბანაკები.



მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური შოუზია



სამი
ტომის
ფასი
15 ლარი

რეკროდუქსიები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი
ცალის
ფასი
6.5 ლარი

- | | |
|---|---|
| 1. ცისფერი გალერეები - დედა | 6. მინიები - ველსკენი |
| 2. ჰორაციუსთა ფიცი - შაკ-ლუი დავიდი | 7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო |
| 3. მწვემთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე |
| 4. ადელ გლუზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტ | 9. უკლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ პარმენს ვან რაინი | 10. სპანელა - რენუარი |

თემატური კლასები დაწყებითი კლასებისთვის ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
- წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
- ფერები
- ფორმები
- ბარული ფრინველები
- პროფინიები
- სილ-პოსტნული
- ტანსაცმელი
- ჰიგიენის ნივთები
- საოჯახო ნივთები
- ზღვის ბინადრები
- ინგლისური ანბანი
- რუსული ანბანი

ერთი
ცალის
ფასი
2.5 ლარი

თემატური კლასები მაღალი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- მსოფლიოს რელიგიები
- ბარული ფრინველები სახარტველოში
- ძმარული ხალხური საკრებები
- ძვენარმავლები სახარტველოში
- სახარტველოს მცენარეები
- აღამიანის კუნთოვანი სისტემა
- ნიბაბი - სიცოცხლის წყარო
- ქველი რეში
- ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
- სამყაროს წარმოქმნა
- მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი
ცალის
ფასი
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- | | | |
|--------------------------|-----------------------------|------------------------|
| 1. მინილ ჯავახიშვილი | 10. იოსებ გრიშაშვილი | 19. რუსთაველი |
| 2. გიორგი ლეონიძე | 11. პულიკარე კაკაბაძე | 20. თეიმურაზ I |
| 3. ირაკლი აბაშიძე | 12. გურამ რჩეულიშვილი | 21. ვახტანგ VI |
| 4. ნოდარ დუმბაძე | 13. იაკობ ხუცესი | 22. გიორგი მერჩულე |
| 5. მირზა გალოვანი | 14. იონაე საბანისძე | 23. გრიგოლ ორბელიანი |
| 6. აბაჰი ბაძრაძე | 15. დავით გურამიშვილი | 24. დავით აღმაშენებელი |
| 7. ვასილ გარეოვი | 16. გენიკი | 25. გრიგოლ რობაქიძე |
| 8. პაულე იაშვილი | 17. რევაზ ინანიშვილი | |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე შავჭავჭავაძე | |

ერთი
ცალის
ფასი
4 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- გილბერტ კ. ჩანტერტონი - დონ კინოტის დაბრუნება
- მარბარეტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- ჯონ გოლზუორთი - რჩეული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილეი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბრედინი - გზა ელითისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტისი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის დვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გენდერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიფარ ჰაგარდი - მოთხრობები ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივარის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - საბი მებოგარი
- შოლდერო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმელობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენბინი
- თეოდორ დრაიზერი - დამიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- გუსტავ ფლობერი - მადამ გოვარი

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



საპარკიზომო რეაული ქართულ მართლწერაში



ნიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოსა-
ლავების, მასშობიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პი-
რისსთვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტანტირებასთან
დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა
და მართლმეცხველების სირთულეები.


ფასი - 9 ლარი.



სიასტა

ქართული აბიტურიზიული ნაწარმოებების ტექსტ-
ბი ნიგნი ახლავს ფორმითა წარმომადგენილი - მბ-
თი ენობრივი განმარტებები სწოლიოში ან გამოცალ-
კვევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, შერწყ-
მული და ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან, რაც
ახლავს რადა მკითხველს, საერთოდ, ლიტერატურის
შემსწავლელს უთუოდ გაუადვილავს კველი ქართული
პროზის ნიგუშების აღქმასა და გაგებას.

ფასი - 4 ლარი.



კომენტირებული
ტექსტი და
ანალიტიკური
გზამკვლევი

თამაზ ვასაძე

9 ლარი



„ქართული ენის
სასკოლო
განმარტებითი
ლექსიკონი“

თამარ
ბეროზაშვილი

10 ლარი




მსოფლიო ისტორიის
ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა
ენციკლოპედია
~~36~~ 26 ლარი




ხელნეების
ილუსტრირებული
ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე,
ორტომეული
16 ლარი



საქართველოს
ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნახვლად 11 ლარისა
9 ლარი

- ◆ მსოფლიოს 7 საოცრება
- ◆ ავტომობილი
- ◆ ამინდი
- ◆ დიდი აღმოჩენები
- ◆ ხალხთა დიდი გადასახლება
- ◆ გამომგონებები
- ◆ განძის ძიება
- ◆ გლადიატორები
- ◆ დრო და კალენდარი
- ◆ კველი ეგვიპტე
- ◆ ევროპა
- ◆ ვიკინგები
- ◆ კოშკები
- ◆ კრიმინალისტიკა
- ◆ მათემატიკა
- ◆ მეცნიერებები

- ◆ მსოფლიოს რელიგიები
- ◆ კველი რომი
- ◆ კველი საბარქეთი
- ◆ სამურანი
- ◆ უდაბნო
- ◆ უკველესი ადამიანები
- ◆ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ◆ ფიზიკა
- ◆ ჩამირული ძალაძები
- ◆ ძივია
- ◆ მემორები
- ◆ ოლიმპიური თამაშები
- ◆ მთები
- ◆ ჯანსაღი კვება
- ◆ არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, - 11 ლარი
- ◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი - 11 ლარი
- ◆ ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი - 16 ლარი
- ◆ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი - 15 ლარი
- ◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ◆ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ◆ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
- ◆ ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი - 12 ლარი
- ◆ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი - 10 ლარი
- ◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორისხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაქლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!



მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბულაშვილის ძ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >